ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 18 – 19 თებერვალი, 2017

№41 (7276)

ფასი: 50 თეთრი

## ნინო ზაუტაშვილი: „ერთი სული აქვთ, „რეალური სივრცე“ ეთერიდან გააქრონ“



გვ.3

## 17 თებერვლიდან

გაბრიელ გარსია მარკესი

ჩილეში არალეგალურად შეპარული მიგელ ლიტინის თავგადასავალი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

# მეუფე პეტრე: „მამა გიორგი მამალაძე არის აბსოლუტურად უდანაშაულო“

„როდესაც პატრიარქის თანმხლები პირები და წმინდა სინოდის წევრები ჩამოვლენ საქართველოში, ჩვენ შევიკრიბებით. ხელისუფლებასთან ერთად უნდა დავსხდეთ და მოვიფიქროთ, თუ როგორ შეიძლება საკითხის მოგვარება. განცხადება ამის მერე უნდა გაკეთდეს"





გვ.2

დაკავებულ დეკანოზს მაღალი სიცხე და წნევა აქვს

## „საპატრიარქოს წინააღმდეგ დაგეგმილი ოპერაცია ჩავარდა“



გვ.3

ზვიად კუპრავა: „ქართულ ოცნებას“ ციანიდის დეკრიმინალიზაცია გადაარჩენს“



## საპარლამენტო უმცირესობა ირაკლი შოთაძის გადაყენებას ითხოვს

— გვ. 2 —

მთავარი პროკურორის გადაყენების პროცედურის დასაწყებად მინიმუმ 50 დეპუტატის მხარდაჭერაა საჭირო

## თენგიზ შარმანაშვილი: „საპარლამენტო რესპუბლიკა საქართველოსთვის ყველაზე მეტადაა მისაღები“



გვ.4

## მანუჩარ მაჩაიძე: „ეკლესიის დამცველებად თავს მართლმადიდებლობასთან მებრძოლი ნაციონალები და მათგან გამოყოფილი პარტიები ასაღებენ“

„ადგილობრივი არჩევნების წინ ყველა თემა გამოიყენება“



გვ.4

## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 11 ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერა

სეს | სურსათის ეროვნული სააგენტო

გვ.3

## ბაზარზე საქონლის ხორცის დეფიციტი შეიქმნა



გვ.6

## მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შემოყვანა აღარ იკრძალება



გვ.6

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მეუფე პეტრე: „მამა გიორგი მამალაძე არის აბსოლუტურად უდანაშაულო“

## დაკავებულ დეკანოზს მაღალი სიცხე და წნევა აქვს

შორენა მარსაგიშვილი



საქართველოს პატრიარქი სამშობლოში 20 თებერვალს დაბრუნდება, სადაც მას ძალიან მძიმე ვითარება დახვდება. ციანიდის სკანდალთან დაკავშირებით, თავისი პოზიცია მან ბერლინში დააფიქსირა. ამბობს, რომ დაკავებულ დეკანოზ გიორგი მამალაძეს კარგად იცნობს და მასზე კარგის მეტი არაფერი სმენია.

— სამწუხაროდ, მე მომიხდა გერმანიაში ჩამოსვლა და გამიკეთეს ნაღვლის ოპერაცია. ოპერაცია კარგად დამთავრდა, კარგი შედეგებია და ექიმები იტყვიან ამის შესახებ. მე ასევე მინდა შევეხო იმ უცნაურ და რაღაც არანორმალურ სიტუაციას, რომელიც დაკავშირებულია მამა გიორგი მამალაძესთან. მე ვიცნობ მამა გიორგის უკვე კარგა ხანია და კარგის მეტი მე არაფერი მომისმენია და მინახავს მისგან, — განაცხადა ილია II-მ.

დაკავებული დეკანოზის უდანაშაულობაში ეჭვი არც მეუფე პეტრეს ეპარება. 17 თებერვალს მან მამა გიორგი მატროსოვის ციხეში მოინახულა. ერთი დღით ადრე კი დაკავებული მეუფე ანდრიამ მოინახულა.

ჭყონდიდის მიტროპოლიტი დეკანოზს სრულ მხარდაჭერას უცხადებს და დარწმუნებულია, რომ ციანიდის სკანდალი მეუფე დიმიტრის წინააღმდეგ არის მიმართული.

მეუფე პეტრე იმასაც ამბობს, რომ მამა გიორგი მამალაძის გათავისუფლება პატრიარქის საქართველოში ჩამოსვლისთანავე უნდა მოხდეს. მიაჩნია, რომ ამ საკითხის გადაჭრაზე ეკლესიამ და ხელისუფლებამ ერთობლივი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.

— მადლობა ღმერთს, ჩემი პროგნოზი და ეჭვები თითქმის 100%-ით გამართლდა. ძალიან დიდ სკანდალში და შარში გაეხვა ეკლესია და ხელისუფლება, ერთად ორივე. ყველაფერი უნდა გაკეთდეს და მამა გიორგი, მიმაჩნია, ძალიან მალე უნდა გამოვიდეს, პატრიარქის ჩამობრძანებისთანავე დატოვოს საპყრობილე. მე პირადად მზად ვარ, ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ვიბრძოლო იმისათვის, რომ ეს ადამიანი იქნეს დაცული.

როდესაც ჯგუფი პატრიარქის თანმხლები პირებისა და წმინდა სინოდის წევრებისა ჩამოვა და ჩვენ შევიკრიბებით, ხელისუფლებასთან ერთად უნდა დავსხდეთ და მოვიფიქროთ, თუ როგორ შეიძლება განცხადება მერე გაკეთდეს.

მე ვამბობ, რომ მამა გიორგი არის აბსოლუტურად უდანაშაულო და ეს არის კაკებეშნიკური, მზაკვრული, დახვეწილი ინტრიგა, რომელშიც ყველა გაეხვა შარში. ჩემი ეჭვია, რომ ნაწილობრივ ეს ასევე იყო მიმართული ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ მეუფე დიმიტრის წინააღმდეგ, — განაცხადა მეუფე პეტრემ.

სანამ ერი და ბერი დაკავებული დეკანოზის უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობს, მამა გიორგი მამალაძის მდგომარეობა უარესდება, მისმა ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ ჯერ კიდევ 4 დღის წინ განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს მაღალი სიცხე ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაკავებული ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არის, დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა ისევ რთულია. 17 თებერვალს მის მოსანახულებლად მატროსოვის ციხეში ადვოკატიც იყო შესული. ფანცულაიას განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს მე-4 დღეა მაღალი ტემპერატურა და არტერიული წნევა აქვს.

ადვოკატის განცხადებით, დეკანოზ გიორგი მამალაძეს საქართველოს პატრიარქის მიმართვა გააცნეს, სადაც ის მამა გიორგიზე საუბრობს. გიორგი ფანცულაია განმარტავს, რომ დეკანოზი მოხარულია უწმინდესისგან ამ შეფასების მოსმენით.

* * *

რამდენიმე დღის წინ ეკლესიაში შექმნილ ვითარებაზე მეუფე პეტრემ სკანდალური განცხადებები გააკეთა. სკანდალების სერია ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა მატროსოვის ციხიდან გამოსვლის შემდეგაც გააგრძელა.

. ჭყონდიდის მიტროპოლიტი, მეუფე პეტრე საქართველოს საპატრიარქოში პატრიარქის მდივან-რეფერანტის შორენა თეთრუაშვილის გავლენაზე ამახვილებს ყურადღებას. მეუფე იაკობთან დაკავშირებით კი პოზიცია ოდნავ შერბილებული აქვს.

— მეუფე იაკობზე ვთქვი, რომ პატრიოტი ადამიანია, მაგრამ ის არის ასევე შემადგენელი ნაწილი ამ ინტრიგისა უნებლიეთ. დღემდე იბრძვიან ის ძალები, რომლებმაც მსგავსი მმართველობა დაამკვიდრეს ქვეყანაში და ეკლესიაში კი, ამ ქალის (შორენას) მმართველობა.

ეს არის ტრაგედია და ნამდვილად ამ საუკუნის პრობლემა. ჩვენ, ქართველი ერი, ერთად ქრისტეს მოსიყვარულე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ეროვნული სულისკვეთების ადამიანები, ამ საქმეს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე. შორენა წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტრების პოზიციას. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, — განაცხადა მეუფე პეტრემ.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტის განცხადებებს ბერლინიდან რამდენჯერმე გამოეხმაურა მეუფე იაკობი.

პატრიარქის ქორეპისკოპოს იაკობის თქმით, სასულიერო პირები კურთხევის აღების გარეშე ტელევიზიებს ინტერვიუებს არ უნდა აძლევდნენ.

ციანიდის სკანდალის შემდეგ საპატრიარქოს გარშემო პოლიტიკური ალიაქოთი ატყდა, რომელიც ისევ გრძელდება. პოლიტიკოსების ნაწილი საპატრიარქოს დაფინანსების წესის შეცვლას მოითხოვს. ნაწილი მიიჩნევს, რომ აუდიტსაც უნდა მიეცეს მისი შემოწმების უფლება.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ყოფილი დეპუტატი კონსტანტინე გამსახურდია. მისი თქმით, სახელმწიფომ უნდა მიანიჭოს კონკრეტული სტატუსი მართლმადიდებლურ ეკლესიას.

— უპირველეს ყოვლისა, კითხვის ნიშანი არ დგას იმაზე, რომ ეს შეეხება მართლმადიდებლობას, როგორც სახელმწიფო რელიგიას. მართალია, ჩვენ ეს სტატუსი არ გვაქვს საბერძნეთისგან განსხვავებით, სადაც მართლმადიდებლობა პირდაპირაა სახელმწიფო რელიგიად აღიარებული.

შესაბამისად, საბერძნეთის ხელისუფლება ფინანსურადაც აკონტროლებს მას, ანუ აუდიტის საშუალებით შედის საბერძნეთის ეკლესიაში. ჩვენთან ეს არ არის. სახელმწიფო არც ინტერესდება იმ თანხებით, რასაც ბიუჯეტი უხდის ეკლესიას. ეს ასე არ უნდა იყოს და უნდა განისაზღვროს კონკრეტული სტატუსი და ახალი ურთიერთობები დამყარდეს, რადგან არ შეიძლება, ეკლესია იყოს ოფშორი, სადაც ბუდობენ ის ბიზნესმენები, რომლებიც თავს არიდებენ გადასახადების გადახდას, — ამბობს გამსახურდია.

მისივე თქმით, ბევრია ისეთი ბიზნესმენი, რომლებიც ამოფარებულნი არიან ეკლესიას და სარგებლობენ ცალკეული მეუფის მფარველობით.

— ამას უნდა მოეღოს ბოლო და კარგს იზამს ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი, თუ ამას დაამთავრეს, — განაცხადა ყოფილმა დეპუტატმა.

რაც შეეხება ეკლესიის დაფინანსების წესს, გამსახურდიამ განაცხადა, რომ ის უნდა დარჩეს, მაგალითად კი შვეიცარულ სისტემას ასახელებს.

— დაფინანსება შეიძლება დარჩეს. მე მომხრე ვარ შვეიცარული მოდელის, სადაც სამღვდელო პირები პირდაპირ სახელმწიფოსგან იღებენ დაფინანსებასაც და ხელფასსაც და ცალკე რელიგიურ გადასახადებსაც იხდი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# საპარლამენტო უმცირესობა ირაკლი შოთაძის გადაყენებას ითხოვს

## მთავარი პროკურორის გადაყენების პროცედურის დასაწყებად მინიმუმ 50 დეპუტატის მხარდაჭერაა საჭირო

საპარლამენტო უმცირესობა მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვს.

როგორც 17 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, უმცირესობა დაიწყებს ხელმოწერების შეგროვებას და ასევე მოითხოვს საპროკურორო საბჭოში საკუთარი კვოტის გამოყენებას, რათა ირაკლი შოთაძის გადადგომის მოთხოვნა დააყენოს.

— ვინც ეს სიტუაცია შექმნა, აუცილებლად უნდა აგონ პასუხი. თუ არ დადგა პასუხისმგებლობის საკითხი, ჩათვალეთ, რომ აღარ ვცხოვრობთ სახელმწიფოში. თუ არავინ პასუხს არ აგებს იქ, სადაც შეტევა შეეხება ჩვენი მოქალაქეებისთვის ემოციურად ყველაზე მტკივნეულ და ძვირფას თემას, სადაც საკითხი შეეხება საქართველოში ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუციას, როგორიც არის ქართული ეკლესია, სადაც საკითხი შეეხება საქართველოში ყველაზე პატივსაცემ ადამიანს — საქართველოს პატრიარქს, თუ არ დადგა პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, ჩათვალეთ, რომ ჩვენ სახელმწიფოში აღარ ვცხოვრობთ, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

სწორედ ამიტომ აყენებს საპარლამენტო უმცირესობა მთავარი პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხს, „რომლის გაუაზრებელმა განცხადებებმაც გამოიწვია მთელი კასკადი პოლიტიკური განცხადებების, რომელმაც ქვეყანა შეიყვანა ამ გაუგებრობაში“.

— ორშაბათიდან დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას მთავარი პროკურორის გადაყენების მოთხოვნით. მივმართავ პოლიტიკურ პარტიებს, შემოგვიერთდნენ ამ პროცესში. დღემდე არ გამოგვიყენებია კვოტა საპროკურორო საბჭოში, რადგან არ ვაპირებდით და არ ვაპირებთ ვითანამშრომლოთ ივანიშვილის პროკურატურასთან. თუმცა, მომავალ კვირას დავაყენებთ საკითხს, რომ ჩვენი წარმომადგენელი შევიდეს საპროკურორო საბჭოში, რათა მან ამ საბჭოში დააყენოს მთავარი პროკურორის გადაყენების მოთხოვნა. ყველა სამართლებრივ ბერკეტს გამოვიყენებთ, რომ მთავარი პროკურორი გადადგეს, — განაცხადა ბ-მა ბაქრაძემ.

* * *

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ საპატრიარქოს გარშემო მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მთავარი პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება საკმარისი არაა, ვინაიდან ის ნომინალური ფიგურაა და რეალურად მიმდინარე მოვლენებს ბიძინა ივანიშვილი მართავს.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, თინა ბოკუჩავამ განაცხადა.

როგორც ინტერპრესნიუსს პარტიიდან აცნობეს, თინა ბოკუჩავამ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ივანიშვილს არ მოსწონს, რომ ქვეყანაში ყველაზე მაღალი ნდობით ეკლესია და პატრიარქი სარგებლობს.

— ივანიშვილს არ მოსწონს, რომ ქვეყანაში ყველაზე მაღალი ნდობით ეკლესია და კონკრეტულად პატრიარქი სარგებლობს. ავტორიტარულ ადამიანებს უნდათ, რომ აკონტროლონ ყველა და ყველაფერი. მას სურს გააკონტროლოს მედია, სასამართლო, პოლიტიკოსები და ახლა გაუჩნდა ამბიცია, რომ გააკონტროლოს ყველაზე მაღალი ავტორიტეტული ინსტიტუტი და გადაწყვიტა ჩაერიოს ეკლესიის საქმიანობაში.

ეს არის ივანიშვილის ცნობილი ბრძოლის იარაღი — ის თამაშობს ადამიანების ყველაზე სათუთი გრძნობებით. უნდოდა პანიკა დაეთესა მოსახლეობაში და ამაში სარგებელი ენახა, — განაცხადა ქ-მა ბოკუჩავამ.

მისი აზრით, მთლიანად მთავრობის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

— პარლამენტარების გარკვეული ჯგუფისგან შოთაძის გადადგომის მოთხოვნა საკმარისი არაა. ამ შემთხვევაში ხელისუფლება თავად ეძებს განტევების ვაცს, რომ ვინმეს ხელები შეაწმინდოს და ეს მხოლოდ შოთაძე არ უნდა იყოს. მთლიანად მთავრობის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შოთაძის გადადგომის მოთხოვნას შევუერთდებით, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს საკმარისი არაა. ჩვენ უნდა ჩამოვიშოროთ მთავრობა და ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ამ მავნებლური სპექტაკლის სათავეშია. ასევე, დავიცვათ „რუსთავი 2“, რომელიც დამოუკიდებელი მედიაა და რომ არა ეს ტელეკომპანია, არავინ იცის, რამდენი ხანი გვაცხოვრებდა ივანიშვილი სიცრუეში, — განაცხადა ბოკუჩავამ.

* * *

საპარლამენტო უმცირესობას მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურის დასაწყებად მინიმუმ 50 დეპუტატის მხარდაჭერა და შესაბამისი რაოდენობის ხელმოწერის შეგროვება სჭირდება.



მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით, რაზეც საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით (76 ხმა) მიიღება, საქართველოს კანონმდებლობა შემდეგ პროცედურას ითვალისწინებს:

თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი უფლებამოსილია საპროკურორო საბჭოს საგანგებო პროკურორის დანიშვნის წინადადებით მიმართოს.

შესაბამის მიმართვაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს კონკრეტული ბრალდების სახე, ბრალდების შინაარსი, სათანადო არგუმენტები და მას უნდა ერთვოდეს არსებული მასალები.

პარლამენტი განიხილავს და კენჭს უყრის მთავარი პროკურორის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების შესახებ საპროკურორო საბჭოს წარდგინებას. შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

მთავარი პროკურორი შეიძლება თანამდებობიდან ვადამდე იმ შემთხვევაშიც გათავისუფლდეს, თუ საპროკურორო საბჭოს მიერ საქმის განხილვის შედეგად დადასტურდება, რომ მთავარმა პროკურორმა დისციპლინური გადაცდომა ჩაიდინა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შორენა მარსაგიშვილი

# „საპატრიარქოს წინააღმდეგ დაგეგმილი ოპერაცია ჩავარდა“

## ზვიად კუპრავა: „ქართულ ოცნებას“ ციანიდის დეკრიმინალიზაცია გადაარჩენს“

**რა გეგმის მიხედვით მოქმედებდა პროკურატურა, ვინ მოიფიქრა ციანიდის საქმე, ვინ უნდა აგოს ამ ყველაფერზე პასუხი? – ამ თემებზე „ახალ თაობას" სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.**

***– ციანიდის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურის განმარტებამ კიდევ უფრო ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. არის ვერსია, რომ ეს ყველაფერი გიორგი კვირიკაშვილის დასასუსტებლად გაკეთდა. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

– პროკურატურის განმარტებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ციანიდის საქმეს კონკრეტული მიზანი ჰქონდა. ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ვერ დაიმორჩილა, არის საპატრიარქო. მას შემდეგ, რაც ის დარწმუნდა, რომ პატრიარქ ილია II-ს ვერ დაიმორჩილებდა, დაიგეგმა ეს პროვოკაცია. საპატრიარქოს წინააღმდეგ დიდი ხანია მიდის ბრძოლა, მაგრამ ბოლო დღეებში ეს ნათლად გამოჩნდა.

ის, რაც პროკურატურამ გააკეთა, არის სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. ახლა იმის მტკიცება, რომ მათ არსად არ უხსენებიათ პატრიარქის მოწამვლის მცდელობა, არის სისულელე.

***– პირველ განცხადებაში მართლა არსად არის ნათქვამი, რომ საუბარი იყო პატრიარქის სიცოცხლის ხელყოფაზე.***

– პირდაპირი ტექსტით ეს არ უთქვამთ, მაგრამ ყველაფერი მიდიოდა იქითკენ, რომ ხალხს ასე ეფიქრა. გაგახსენებთ მთავარი პროკურორის პირველ განცხადებას. გამოვიდა შოთაძე და თქვა, რომ აღკვეთილია დანაშაული, რომელიც სახელმწიფოს და ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. გვითხრა, რომ იგეგმებოდა მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მოწამვლა. შოთაძის ლოგიკა ყველა ადამიანში ქმნიდა იმის განცდას, რომ დანაშაული პატრიარქის წინააღმდეგ იყო მიმართული.

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ილია II ძალიან საყვარელი ადამიანია და აქედან გამომდინარე, ეს საქმე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. მეც ძალიან მაინტერესებდა, როგორ გაგრძელდებოდა ეს საქმე. კითხვის ნიშნები კი თავიდანვე გაჩნდა.

***– პირადად თქვენ რა კითხვა გაგიჩნდათ?***

– თავიდანვე შეიქმნა განცდა, რომ პროკურატურას არ ჰქონდა სათანადო მტკიცებულებები, რაც მსგავსი ტიპის ინფორმაციას უნდა ახლდეს თან. ეს არ ყოფილა რიგითი დანაშაული. ასეთი დანაშაული კი მთელი რიგი მტკიცებულებებით უნდა იყოს გამყარებული. საგამოძიებო უწყება დაგვპირდა, რომ მტკიცებულებებს რამდენიმე დღეში წარმოადგენდა, მაგრამ ისინი არ გვინახავს.

მათ ხელთ არ აქვთ ასეთი მტკიცებულებები. ეს ყველაფერი გაკეთდა ფონის შესაქმნელად და ხელისუფლებისთვის სასურველი კანდიდატისთვის გზის გასახსნელად. ყველასთვის ცნობილია, რომ პატრიარქის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება. ხელისუფლება მხარს ქორეპისკოპოს იაკობს უჭერს. ამ სკანდალამდე რამდენიმე თვით ადრე რამდენიმე მაღალი რანგის სასულიერო პირის წინააღმდეგ გავრცელდა მაკომპრომეტებელი მასალები. სკანდალი აგორდა პატრიარქის დაცვის უფროსზე. დაიწყო პატრიარქის ძმისშვილის, მეუფე დიმიტრის წინააღმდეგ ბრძოლა.

ციანიდის საქმე შემთხვევით არ დაამთხვიეს პატრიარქის ოპერაციას. ილია II-მ ძალიან მძიმე ოპერაცია გადაიტანა. ის არის ასაკში და არ იყო გამორიცხული, რომ პატრიარქი ამ ოპერაციას ვერ გადაიტანდა. ციანიდის საქმე სწორედ ამაზე იყო გათვლილი. არც ის იყო შემთხვევითი, რომ დამნაშავედ მამა გიორგი მამალაძე შეარჩიეს. ის პატრიარქის ძმისშვილთან, მეუფე დიმიტრისთან დაახლოებული პირია.

საბედნიეროდ, პატრიარქი გადარჩა და კარგად არის. ხელისუფლების ბინძური გეგმა ჩაიშალა.

***– რაკი ჩაიშალა, ამ გეგმას გაგრძელება აღარ ექნება?***

– რაღა უნდა გააგრძელონ, ხელისუფლება ძალიან სერიოზულ შარშია. ეს მზაკვრული გეგმა, საბედნიეროდ, არავინ დაიჯერა. არადა ხელისუფლებას იმედი ჰქონდა, რომ ეს საზოგადოებაზე შოკის მომგვრელად იმოქმედებდა და მიზანს მარტივად მიაღწევდა. ხალხმა კი არ დაიჯერა. ან როგორ უნდა დაიჯერო, რომ სასულიერო პირმა პატრიარქის მოსაწამლად ციანიდი შეიძინა და ამ ნივთიერებით აპირებდა გერმანიის ტერიტორიაზე შესვლას.

ხელისუფლების გეგმა ჩავარდა, მაგრამ ამ ხელისუფლების წყალობით, ჩვენ დაგვრჩა ფაქტი, რომელიც ქვეყნის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელი.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ 1918 წლის შემდეგ, როცა მენშევიკებმა კირიონ მეორე მოკლეს, პატრიარქზე თავდასხმა არავის გაუბედავს. ასეთი რამის გაკეთება კომუნისტებმაც კი ვერ გაბედეს. ისინი დევნიდნენ სასულიერო პირებს, მაგრამ პატრიარქების სიცოცხლის ხელყოფას ერიდებოდნენ. სამაგიეროდ, ასეთი რამე მოხდა დღეს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში.

***– თუმცა, როგორც გაირკვა,***




***მსგავსი რამ არ იგეგმებოდა.***

– ეს ვერსია თავად ხელისუფლებამ განავითარა. ეს ხელისუფლება ამ სამარცხვინო ლაქას ვერსად გაექცევა. თუ არაფერი იგეგმებოდა და დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იყო, ხელისუფლებამ უნდა განგვიმარტოს, რატომ გამოვიდა ასეთი ინფორმაცია.

ახლა ყველანაირად ცდილობენ ამ სისულელის გამოსწორებას და უარეს სისულელეს ამბობენ. გამოვიდა გია ვოლსკი და თქვა, შესაძლოა, მამა გიორგი მამალაძეს ციანიდი გასაყიდად მიჰქონდაო.

რაც უნდა თქვან, ყველაფერი იქნება სისულელე, ძალიან მაგარ შარში არიან, საიდანაც გამოსავალი არ არის. ამაზე წესით ვილაცამ უნდა აგოს პასუხი.

***– თქვენი აზრით, ვინ შეიძლება გახდეს განტევების ვაცი, მთავარი პროკურორი?***

– არავინ არ გახდება განტევების ვაცი. არ ველოდები, რომ ამაზე ვინმე აიღებს პასუხისმგებლობას. მთავარმა პროკურორმა ყველაფერი საკუთარ თავზე თუ აიღო, არაა გამორიცხული, თქვას, თუ ვინ იყო ამ სისულელის დამკვეთი. ამ ყველაფრის უკან ივანიშვილი დგას.

ციანიდის საქმესთან დაკავშირებით უკვე გააკეთა განმარტება პატრიარქმა. მას ეს არ სჯერა და მამა გიორგის დადებითად ახასიათებს. მან მამა გიორგის მხარდაჭერა გამოუცხადა, ხოლო მის გარშემო შექმნილ მდგომარეობას უცნაური და არანორმალური მოვლენა უწოდა.

***– პატრიარქის ამ განცხადებასთან დაკავშირებით გია ვოლსკიმ თქვა, ჩვენ და ილია II სხვადასხვა ენებზე ვსაუბრობთო.***

– ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელმა სიმართლე თქვა. ასაკში მყოფი, ნაოპერაციევი ადამიანი ბევრად უფრო რაციონალურად აზროვნებს, ვიდრე ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ შორის სხვაობა მართლაც ძალიან დიდია.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ნებისმიერი განცხადება კიდევ უფრო გაართულებს ამ რთულ საქმეს. დარწმუნებული ვარ, ახლა ისინი ცდილობენ მოიფიქრონ რამე ისეთი, რომ მამა გიორგი მამალაძე გარეთ გამოუშვან. ამას თუ გააკეთებენ, უკვე ოფიციალურად მოხდება იმის აღიარება, რომ საქმე იყო შეკერილი. ახლა ხელისუფლება არის ჩიხში და მას მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს.

***– რა გამოსავალი?***

– უნდა მოახდინოს ციანიდის დეკრიმინალიზაცია. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა, სერიოზულად კი ხელისუფლება ამ საქმიდან სუფთად ვერ გამოვა. მათ მოუწევთ იმის აღიარება, რომ ადამიანს ციანიდი ჩაუდეს, რაც საქართველოს ისტორიაში, მგონი, არ ყოფილა. იარაღის და ნარკოტიკის ჩადება ყოველთვის იყო, მაგრამ ციანიდი უკვე მეტისმეტია.

# ია ანთაძე: „საზოგადოებრივი მაუწყებლის 10 გადაცემას ზურგში ჰქონდა მოკიდებული 20 გადაცემა“



– საზოგადოებრივი მაუწყებლის 10 გადაცემა თავის მხრებზე ეწეოდა 20 გადაცემას, უფრო სწორად, ვერ ეწეოდა და ამის გამო მაყურებლების რაოდენობა მუდმივად იკლებდა. ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მრჩეველმა ია ანთაძემ ახალ გეგმაზე კომენტირების დროს განაცხადა, რომელიც დაბალრეიტინგული გადაცემების დახურვას ითვალისწინებს.

ია ანთაძის განცხადებით, ხარისხობრივი და ზეგავლენის კვლევები მოითხოვს როგორც ფინანსებს, ასევე დროს, ამიტომაც არხის მენეჯმენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რეფორმა განხორციელდეს ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

მისივე განცხადებით, „ფიფლმეტრებით“ გაიზომა არხის რეიტინგი და აღმოჩნდა, რომ ზოგი გადაცემა არის არხის საშუალო რეიტინგზე მაღალი, ზოგი ინარჩუნებს სტატუს-კვოს, ზოგი კი იწვევს მაყურებლის მიგრაციას ანუ მაყურებელი იღებს პულტს და სხვა არხზე რთავს.

– რა გადაცემებიც დაგვხვდა ეთერში, მათთან დაკავშირებით არანაირი ეჭვი არ არსებობდა არასდროს, იმიტომ, რომ ეს იყო ტელევიზია, რომელიც ქმნიდა გადაცემებს იმ ნიშნით, რომ ისინი უნდა ყოფილიყო ხარისხიანი, ღირებულებებზე ორიენტირებული. ერთადერთი, რასაც არ ითვალისწინებდნენ, იყო ის, ჰყავს თუ არა მაყურებელი გადაცემებს.

ამბობდნენ, რომ ეს არის უმნიშვნელო, შედეგად მივიღეთ ის, რომ წლიდან წლამდე ეცემოდა არხის რეიტინგი და ამას ადასტურებს „ფიფლმეტრებიც“ და სხვა კვლევებიც, – აღნიშნა ქ-მა ანთაძემ.

* * *

საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის წევრმა, გიორგი გვიმრაძემ არხის მენეჯმენტსა და სამეურვეო საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების ნაწილის დახურვისა და ნაწილის სამაუწყებლო ბადეში დატოვების სავარაუდო გეგმა წარუდგინა.

გეგმის მიხედვით, სამაუწყებლო ბადეში რჩება ე.წ. მწვანე ზოლში არსებული გადაცემები, რომლებიც იზიდავს მაყურებელს და რეიტინგი მაღალია. მათ შორისაა გადაცემები: „გამომძიებელი რეპორტიორი“, „გურმანი“, „ფერმა“, „ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ“, „შაბათს საღამოს ლიზასთან“, „წიგნების თარო“, „ტელებლოგი“, „პირადი ექიმი“, „სიტყვების თამაში“, „გააგრძელე საქართველოს ისტორია“.

სამაუწყებლო ბადეში რჩება მეორე კატეგორია, ე.წ ყვითელ ზოლში მყოფი გადაცემებიც, რომლებიც საშუალო რეიტინგისაა. მათ შორისაა, „დოკუმენტური ფილმების სტუდია“, „ეპოქა“, „დღე მუზეუმში“, „რადიო თავისუფლება – ინტერვიუ“.

სამაუწყებლო ბადიდან ამოღებული უნდა იქნეს ე.წ წითელ ზოლში მყოფი გადაცემები, რომლებიც დაბალი რეიტინგისაა და მაყურებლის მიგრაციას იწვევს. მათ შორისაა გადაცემები: „ხანმოკლე XX საუკუნე“, „ეკონომეტრი“, „ვაშინგტონი დღეს“, „სპორტი 360 გრადუსი“, მთავარი“, „რეალური სივრცე“, „ვექტორი“, „სპორტის დაფა“, „რადიო თავისუფლება – წითელი ზონა“, „ტელემანი“, „კაცების დრო“, „ჩ სტუდია“, „უცნობი მუსიკა“. არხის მენეჯმენტი აცხადებს, რომ ეს საბოლოო ვარიანტი არ არის და საკითხზე მუშაობას სამშაბათს, 21 თებერვალს, გააგრძელებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ნინო ზაუტაშვილი: „ერთი სული აქვთ, „რეალური სივრცე“ ეთერიდან გააქრონ“



– ერთი სული აქვთ „რეალური სივრცე“ ეთერიდან გააქრონ. არ ვაპირებთ ამ ზერელე დათვლებთან და არაკომპეტენტურობასთან შეგუებას.

ამის შესახებ გადაცემა „რეალური სივრცის“ ავტორმა ნინო ზაუტაშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის ახალ გეგმაზე და ე.წ წითელ ზოლში მყოფი „რეალური სივრცის“ სავარაუდო დახურვის საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, დაელოდება სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას და გარკვევით ეცოდინება, შემდეგი ნაბიჯი რა იქნება.

ზაუტაშვილის განცხადებით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ერთი სული აქვთ, „რეალური სივრცე“ გააქრონ ეთერიდან.

– მრჩება შთაბეჭდილება, რომ ერთი სული აქვთ „რეალური სივრცე“ გააქრონ ეთერიდან და უფრო ადვილად ისუნთქონ. პროგრამირებაც მთავარი საკითხია, როცა საზოგადოებრივი თოქ-შოუ „რეალური სივრცე“ ჩასვეს გასართობი გადაცემის პარალელურად, ესე იგი ცუდი მენეჯმენტია.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ, აღმასრულებელი საბჭო და დღევანდელი მენეჯმენტი და ის ორი ადამიანი, რომელიც წინა მენეჯმენტიდან ავსებს დღევანდელ მენეჯმენტს, არაკვალიფიციურია. მათ არ შეიძლება მართონ არანაირი ტელევიზია, – განაცხადა ნინო ზაუტაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 11 ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერა

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველომ მიმდინარე თვეს დედაქალაქში 110 ინსპექტირება და 140 ბიზნესოპერატორის დოკუმენტური შემოწმება განახორციელა, მათ შორის, 83 ხორცის სარეალიზაციო ობიექტში.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აგრეთვე, შემოწმდა ფრინველთა და ცხოველთა სასაკლაოები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები და აგრარული ბაზრები.

კრიტიკული შეუსაბამობების გამო, საწარმოო პროცესი შეუჩერდა 11 ბიზნესოპერატორს: 3 სასაკლაოს, 4 ხორცის საბითუმო სარეალიზაციო ობიექტს, 3 საზოგადოებრივი კვების ობიექტს, 1 აგრარულ ბაზარს.

სხვადასხვა დარღვევის, მათ შორის, ხორცის ეტიკეტირების წესის დარღვევისა და გაურკვეველი წარმომავლობის ხორცის რეალიზაციის გამო დაჯარიმდა 34 ბიზნესოპერატორი.

– მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და სურსათის უვნებლობის სტანდარტების უზრუნველყოფისთვის, სურსათის ეროვნული სააგენტო განაგრძობს შემოწმებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მალფუჭებადი სურსათის – ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების შესაბამისობის დადგენას ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აგრეთვე, ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდება საინფორმაციო შეხვედრები ბიზნესოპერატორებთან, – განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

**ბიპიენი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მანუჩარ მაჩაიძე: „ეკლესიის დამცველებად თავს მართლმადიდებლობასთან მებრძოლი ნაციონალები და მათგან გამოყოფილი პარტიები ასაღებენ“

## „ადგილობრივი არჩევნების წინ ყველა თემა გამოიყენება“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" ქვეყანაში მომდინარე მოვლენებზე თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ მანუჩარ მაჩაიძეს ესაუბრა.**



***— ციანიდის საქმის პარალელურად, არ წყდება საუბრები საპატრიარქოში მიმდინარე მოვლენებზე. ამ თემას იყენებენ ათეისტებიც და მორწმუნეებიც.***

— ასეთი განცდა, მართლაც, რჩება. ეკლესიას მოწინააღმდეგეები და მტრები არ აკლია. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. მართლმადიდებლობას ყოველთვის ებრძოდნენ. ეს ისტორიულად ასე იყო. რწმენასა და ეკლესიას განსაკუთრებული სისასტიკით ეომებოდნენ ათეისტები ანუ მატერიალისტები. ეკლესიის მოწინააღმდეგეები იყვნენ სექტები, ზოგიერთი სხვა რელიგიის წარმომადგენლები. ათეისტები ახლაც დაირაზმნენ, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა თავისი განაყოფებით.

***— რესპუბლიკურმა პარტიამ წამოაყენა ინიციატივა საპატრიარქოს დაფინანსების, ანუ ზარალის ანაზღაურების შეწყვეტის შესახებ.***

— რესპუბლიკური პარტიაც, ნაცმოძრაობის მსგავსად, ათეისტურ-მატერიალისტური ორგანიზაციაა. საქართველოში სიტყვის თავისუფლებაა და პოლიტიკოსებს აზრის გამოთქმას არავინ უშლის. მთავარია, არ იყოს აგრესია, თავდასხმები და რადიკალიზმი.

დაფინანსების შეწყვეტა სწორად არ მიმაჩნია. რელიგიასთან მებრძოლმა კომუნისტებმა უამრავი სასულიერო პირი დახოცეს, აწამეს, საეკლესიო ქონება მიითვისეს. კონკორდატის შესაბამისად, ხდება მაშინ მიყენებული ზარალის ნაწილ-ნაწილ ანაზღაურება. ესაა ზიანის კომპენსაცია. რატომ უნდა შეწყდეს მისი გადახდა, გაუგებარია, მით უმეტეს, ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში წამყვანი რელიგია უპირატესობებით სარგებლობს.

ეკლესიას გააფთრებით ებრძოდნენ და ძარცვავდნენ კომუნისტები. ეკლესიასთან ჩუმი თუ ღია ბრძოლით თავი გამოიჩინა ნაციონალურმა მოძრაობამაც. ძალიან ცინიკურია, რომ დღეს ეკლესიის დამცველებად თავს ასაღებენ მართლმადიდებლობასთან მებრძოლი ნაციონალები და მათგან გამოყოფილი პარტიები.

***— ამ მხრივ ყველა აქტიურობს, ვისაც შეუძლია.***

— განსაკუთრებით — ათეისტები. ისინი ცდილობენ, ლაფში ამოსვარონ ეკლესიის სახელი. დადგენილია, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში ურწმუნოა მოსახლეობის 15-დან 20%-მდე. ურწმუნოს ვერც ღმერთის არსებობას დაუმტკიცებ და ვერც იმას, რომ მღვდლების უმეტესობა პატიოსანი ადამიანია. კარგი იქნება, რომ ყველამ შეისწავლოს ფილოსოფია, როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური და დასკვნები მერე გამოიტანოს.

კომუნისტების დროს გვასწავლიდნენ მატერიალიზმს, მაგრამ, ამის პარალელურად, ვეცნობოდით იდეალისტურ მიმდინარეობებს და ღმერთის არსებობის 4 დასაბუთებას. ისიც დადგენილია, რომ ურწმუნო ადამიანები პრიმიტიულად აზროვნებენ და ღმერთის არსს ვერ სწვდებიან. მორწმუნეები კომუნისტებშიც იყვნენ.

***— ოპოზიცია პარლამენტში პროკურატურის მაღალჩინოსნებს იბარებს. საზოგადოება ძალიან დააბნია ციანიდის საქმეზე გაკეთებულმა ურთიერთგამომრიცხავმა განცხადებებმა.***

— ბევრი რამ გაუგებარია, მაგრამ ყველაფერს გამოძიება გაარკვევს. უფლება არ გვაქვს, ვინმეს ბრალი წავუყენოთ და უდანაშაულოს ცილი დავწამოთ. ამ თემის გამო აჟიოტაჟი არ არის მართებული. ნაცმოძრაობასა და მის განაყოფებს არანაირი უფლება არ აქვთ, ილაპარაკონ ეკლესიაზე, მის დაცვაზე და ვინმე ამ თემაზე პარლამენტში დაიბარონ.

ეგენი არ იყვნენ, პატრიარქსა და მთლიანად ეკლესიას რომ ებრძოდნენ? გლდანის ეკლესია ვინ დაანგრია? საცილოა, რომ უწმინდესის მოსანახულებლად ბერლინის კლინიკაში სააკაშვილი ჩავიდა დედამისთან ერთად. ხალხის მოსატყუებლად რას არ კადრულობენ!

***— ხალხი ტყუვდება?***

— არა მგონია, რომ ხალხი შეცდეს და გული მოუბრუნდეს ამ მწამებლებსა და ეკლესიის მოწინააღმდეგეებზე იმის გამო, რომ სააკაშვილი ბერლინში ჩავიდა და ნაციონალები აქ ეკლესიის დამცველების როლებს თამაშობენ.

***— როგორც საკრებულოს დეპუტატი, რას იტყვით იმაზე, რომ თბილისის მერი ნარმანიის სკანდალშიც გაეხვია?***

— ნარმანიას დამცველი არ ვარ, მაგრამ ბევრი მოვლენა წინასაარჩევნო ხასიათს ატარებს. ადგილობრივი არჩევნების წინ ყველა თემა გამოიყენება. საინტერესოა, როცა ნარმანიას კორუმპირებულობაზე საუბრობენ გიგი უგულავა და მისი გუნდელები.

უგულავას 55 მილიონის გაფლანგვას ედავებოდნენ. ის გათავისუფლებულია და სხვების კორუმპირებულობაზე ლაპარაკობს. მე რომ 100 ლარი ამეღო, ციხეში ამომალპობდნენ! უგულავას მილიონები აქვს წაღებული, მაგრამ ის თავისუფალია. ახლოვდება ადგილობრივი არჩევნები და კიდევ ბევრ ხმაურიან შოუს ვნახავთ.

## დავით უსუფაშვილი: „სახელმწიფოსა და ეკლესიაზე თავდასხმა თავიდან კი არ ავიცილეთ, იგი დიდი მონდომებით განვახორციელეთ“

— სახელმწიფოსა და ეკლესიაზე თავდასხმა თავიდან კი არ ავიცილეთ, იგი დიდი მონდომებით განვახორციელეთ სამწუხაროდ, მართლდება ვარაუდი, რაც ბევრმა, მათ შორის მეც, თავიდანვე გამოვთქვით — სახელმწიფოსა და ეკლესიაზე თავდასხმა თავიდან კი არ ავიცილეთ, იგი დიდი მონდომებით განვახორციელეთ.



ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ინტერპრესნიუსს განუცხადა.

— ზიანი სახელმწიფოსთვის, ეკლესიისთვის და საზოგადოებისთვის იქნება ხანგრძლივი და მრავალმხრივი, შესაძლოა, თავისი კომპლექსურობით, უპრეცედენტოც. ეს იმიტომ, რომ პროცესში ჩართულია უმაღლესი კატეგორიის მგრძნობიარე ფაქტორების იშვიათი ერთობლიობა: საწამლავი, მკვლელობის მცდელობა, პატრიარქის სიცოცხლე, კომპრომატებით ღია ომი სინოდში, შეუსრულებადი დავალებებით თავგზააბნეული პროკურატურა, ალყის კონტურები პრემიერ-მინისტრის გარშემო, შეურაცხყოფილი მრევლი, გაოგნებული მოსახლეობა, აჟიტირებული ყოფილი პრეზიდენტი, საეჭვოდ განაბული „უკრაინული ვიკილიქსი“ და ა.შ.

რამ მიგვიყვანა აქამდე? — უწესრიგობამ, არაკომპეტენტურობამ, ახლომხედველობამ და უსისტემობამ, რაც ნელ-ნელა პოლიტიკური ცხოვრების წესად დამკვიდრდა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ჩვენ გამოვიარეთ მიტინგებით მმართველობის წლები, იარაღით მმართველობის წლები, კორუფციით მმართველობის წლები, შიშით მმართველობის წლები. ახლა ვიმყოფებით ქაოსით მმართველობის წლებში, რომელიც უმართავი ქაოსით გვემუქრება, — განაცხადა უსუფაშვილმა.

მისი თქმით, სახელმწიფო ძალაუფლება, გარდა იმისა, რომ უმძიმესი ტვირთია, სახიფათო იარაღიცაა, რომელიც არ უნდა აღმოჩნდეს არც ფსიქოპოლიტიკურად მოუმწიფებელი და არც სოციალური ექსპერიმენტებით გატაცებული ადამიანების ხელში.

— ჩვენში კი სახელმწიფო ძალაუფლებას ხან ერთნი ფლობენ, ხან მეორენი და ხანაც — ორივენი ერთად. ამიტომ არის, რომ სახელმწიფოს მმართველებისგან მუდამ ახალ-ახალ პრობლემებს ვიღებთ და არა იმ პრობლემების მოგვარებას, რომელთაც შეერკინებიან ხოლმე. ახლაც, შესაძლოა, მართლაც აღკვეთილი რაიმე დანაშაულის საზოგადოებრივად მავნე შედეგების მინიმალიზაციის ნაცვლად, ხელისუფლებამ წარმატებით „მოახერხა“ ამ შედეგების მაქსიმალიზაცია.

გვეშველება? — გვეშველება, ოღონდ მაშინ, როდესაც ორსახოვნებისა და ფარისევლობის საბჭოურ ბაცილას მართლა შევებრძოლებით ჩვენშიც, სახელმწიფო მმართველობაშიც და ეკლესიაშიც.

ეს ხომ რთულია? კი, რთულია... უფრო ადვილია „სახელმწიფოებრიობის მოდელირებული ქრონიკების“ წარმოება და მშვიდად შევიქციოთ თავი ბოლოდროინდელი შედევრით, — განაცხადა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ.

**ინტერპრესნიუსი**

# თენგიზ შარმანაშვილი: „საპარლამენტო რესპუბლიკა საქართველოსთვის ყველაზე მეტადაა მისაღები“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი თენგიზ შარმანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე საუბრობს.

***— ბატონო თენგიზ, თქვენი ინიციატივა რას ითვალისწინებს, ეს შეეხება თუ არა პრეზიდენტისთვის შეწყალებისა და ვეტოს გამოყენების ნაწილში მთავრობის კონტრასიგნაციის განხორციელებას?***

— არა, არავითარი ინიციატივა არ მქონია. კომისიის სხდომაზე მსჯელობის დროს რამდენიმე ვარიანტი დავასახელე. თუ ოფიციალური ინიციატივა მექნება, ამას კომისიას წერილობით წარვუდგენ. ასობით ინიციატივა განიხილება კომისიაზე, ყველას თავისი მოსაზრება აქვს.

***— თქვენს ვარიანტზე რომ გვითხრათ?***

— ჩემი ერთ-ერთი ვარიანტი ეხებოდა იმას, რომ კონტრასიგნაციის შემთხვევაში, მოქმედი კონსტიტუციით, ამ აქტის შესრულებაზე მთავრობა არის პასუხისმგებელი და პრეზიდენტს პასუხისმგებლობა აღარ აკისრია. შესაბამისად, ამ ნაწილში ამის პროექტი მთავრობამ ხომ არ მოამზადოს-თქო? ეს იყო მთავარი აზრი, რაც გამოვთქვი, მაგრამ ვინაიდან კარგად არ იქნა გააზრებული, ჩათვალეს, რომ ამას ვამბობდი ყველაფერზე, მათ შორის შეწყალებაზე, ვეტოზე და ა.შ.

***— თქვენ ასევე საუბრობდით იმაზე, რომ კონსტიტუცია ითხოვს გადახედვას, კონკრეტულად, რა ნაწილში?***

— გადახედვა ხდება ყველა თავის, რადგან დრო მაინც თავისას შვრება. რაღაც ნორმები უკვე მოძველდა. მაგალითად, ადამიანის უფლებების თავში რაღაცების გაუმჯობესება ხდება, თუმცა, უნივერსალური ნორმები საყოველთაოდ აღიარებული რჩება. 2010 წელს მოხდა კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება, მაშინ ვენეციის კომისიამ დაწერა დასკვნა, რომ ეს არის კარგი ნაბიჯი სწორი მიმართულებით ანუ მოგვიწონეს, რომ ევროპული სისტემისკენ გადავდგით ნაბიჯი. სუპერ საპრეზიდენტო რესპუბლიკები ევროპაში ნაკლებია. ახლა გაჩნდა სივრცე, რომ შემდეგი ნაბიჯები გადავდგათ და უნდა გადავდგათ.

***— და რა ნაბიჯებია ეს?***

— ნაბიჯი საპარლამენტო რესპუბლიკისკენ. ახლა ფაქტობრივად საპარლამენტო რესპუბლიკა გვაქვს, მაგრამ მოქმედ კონსტიტუციაში უამრავი არაადეკვატური ნორმა არის ჩარჩენილი, რომელიც არ არის საპარლამენტო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი. თავის დროზე ეს ნაბიჯები სწორი მიმართულებით ბოლომდე ვერ გადაიდგა. თუ რატომ, ამის პოლიტიკურ მიზეზებზე აღარ ვისაუბრებ.

***— კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ?***

— მაგალითად, უშიშროების საბჭოს რეგულაცია ავიღოთ, რომელიც დღეს პრეზიდენტთან არის. ეს რედაქცია 1995 წელს არის მიღებული, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს და ერთი მძიმე და წერტილი არ არის შეცვლილი, ისე არის პირდაპირ გადმოღებული.

რეალობაში კი აღმოჩნდა, რომ გვაქვს საპარლამენტო რესპუბლიკა, გვყავს საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი და უშიშროების საბჭოსა და თავდაცვის ნაწილში მოქმედებს ისეთი რეგულაციები, რომლებიც დამახასიათებელი



არის საპრეზიდენტო რესპუბლიკისთვის, ზუსტად ისე, როგორც შევარდნაძის პერიოდში იყო.

საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტს ვერ ექნება სუპერ საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება ამ ნაწილში. საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებები უნდა დაუახლოვდეს ამ მოდელის პრეზიდენტის უფლებამოსილებებს.

***— ეს უფლებამოსილებები კონკრეტულად რაში გამოიხატება?***

— როდესაც პრეზიდენტს არ გააჩნია აღმასრულებელი ფუნქციები, თუმცა, რაღაც ელემენტები მაინც აქვს.

***— ცერემონიალური ხასიათის პრეზიდენტი თუ შესაძლებელია გარკვეული უფლება-მოვალეობებითაც იყოს აღჭურვილი?***

— საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტებს ძირითადად არ გააჩნიათ მატერიალური შემსრულებლის ფუნქცია. იქაც კი, სადაც გააჩნიათ, კონსტიტუცია არ ავალდებულებთ. მაგალითად შემიძლია გერმანიის კონსტიტუცია დავასახელო.

***— კონსტიტუციონალისტთა ნაწილი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით პრეზიდენტის უფლებამოსილების კიდევ უფრო შემცირება სახელისუფლო ბალანსს დაარღვევს. არ ეთანხმებით?***

— მე განვმარტე, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცაზე არ ვსაუბრობ. მე ვსაუბრობ, საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელთან როგორ დავაახლოოთ არსებული მოდელი.

***— საპარლამენტო მოდელი ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის რამდენად არის მისაღები?***

— საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი დამახასიათებელია დემოკრატიული, ევროპული ქვეყნებისთვის. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი გზაც სწორედ ევროპული ოჯახის წევრობაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა არის ის მოდელი, რომელიც ჩვენთვის ყველაზე უფრო მეტად უნდა იყოს მისაღები.

მე მინდა, რომ ჩემი ქვეყანა სწორედ ამ სამართლებრივი სივრცის ნაწილი იყოს, ამ კულტურის ნაწილი, და ჩვენი მენტალობით ვართ კიდეც. მე სწორედ ამ სივრცის ნაწილად მიმაჩნია თავი.

რა არის ალტერნატივა? ალტერნატივა არის აზიური მოდელები, ერთპიროვნული მმართველობა, მე კი ვფიქრობ, რომ აღარ არის ის დრო, რომ უკან დავბრუნდეთ, წინ უნდა წავიდეთ. მე მჯერა, რომ ჩვენ ამას შევძლებთ. სწორი ნაბიჯით სწორი მიმართულებით უნდა ვიაროთ.

# უფასო სახელმძღვანელო და ფრანკფურტის ბაზრობა

თითქოს ორი სხვადასხვა საკითხია, მაგრამ ერთმანეთთან იმდენად გადაჯაჭვული, რომ განცალკევება მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. ჯერ ბაზრობაზე ვთქვათ...

## საფრანკფურტო ლაბირინთები

ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობა.

ყოველწლიურად.

შემოდგომაზე.

ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ბაზრობა.

აქ წიგნები გამოიფინება და წარმოჩნდება. ესაა დიდი ასპარეზი საავტორო უფლებების უცხოეთში გაყიდვისა და ქართველ მწერალთა ნაწარმოებების მრავალ ქვეყანაში გამოსაცემად.

და არა მხოლოდ წიგნები – არტეფაქტები, ახალი ტექნოლოგიები, ფოლკლორი, ქორეოგრაფია, სპექტაკლები, ფილმები, ნახატები, ღვინო, ეროვნული სამზარეულო...

ყველაფერი, რაც ქვეყანას თავმოსაწონებლად მოეპოვება.

ასზე მეტი მონაწილე ქვეყანა!

7600 ექსპოზიცია!

300 ათასზე მეტი ვიზიტორი!

და მხოლოდ ერთი საპატიო სტუმარი.

ამჯერად – საქართველო!

უფრო ზუსტად, 2018 წელს.

მთელი წლის განმავლობაში გერმანიის სხვადასხვა ქალაქის საგამოფენო დარბაზები, მუზეუმები, საოპერო თუ სხვა თეატრალური სივრცეები ელოდებიან საპატიო სტუმრებს საქართველოდან.

საუკეთესო შანსი საკუთარი თავის რაც შეიძლება კარგად წარმოსაჩენად...

ღმერთმა იცის, მსგავსი შესაძლებლობა კიდევ როდის მოგვეცემა.

დაუშვებელია, ასეთი შანსი მაქსიმალურად არ გამოიყენო.

მაშინ მართლა ღირსი იქნები, უნიათო რომ გიწოდონ.

ვის ეხება?

რა თქმა უნდა, მთავრობას და, უპირველესად, კერძო გამომცემლობებს.

კერძო გამომცემლობებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ფესტივალის ადმინისტრაციის მოთხოვნაა.

ამ თემას ბოლო ხანს არაერთი პრესკონფერენცია მიეძღვნა.

ტელეარხებმაც მონდომებით გააშუქეს.

ხაზგასმით ითქვა, რომ საქართველო აგვიანებს, თუმცა ბოლომდე გასაგები მაინც ვერ გახდა ის, თუ რას და რატომ აგვიანებს.

მთავრობის ოპონენტთა (ამ საკითხში) არგუმენტები:

საპატიო სტუმარ ქვეყანას განსაკუთრებული მომზადება სჭირდება.

გამორჩეული უნდა იყოს მისი პავილიონი, ექსპოზიციათა დიზაინი და გაფორმება, წიგნები, კონცერტები, სპექტაკლები, ფილმები, გამოფენები...

მოსაფიქრებელია სლოგანი და ლოგო;

გასაფორმებელია კონტრაქტები;

დრო არცთუ ბევრია – ორ წელზე ნაკლები...

თითქოს არც ისე საგანგაშოდ ცოტა დროა, მაგრამ ოპონენტებს აქაც მყარი არგუმენტი აქვთ:

ნორვეგია ჩვენ შემდეგ (ანუ 2019 წელს) უნდა იყოს საპატიო სტუმარი და იქ სამზადისი უკვე დიდი ხნის დაწყებულია (ცნობისათვის: წელს საპატიო სტუმარია საფრანგეთი)!

ერთადერთი, რაც ქართულ მხარეს უკვე მოფიქრებული და გადაწყვეტილი აქვს, ზოგადი კონცეფციაა – ქართული ანბანის უნიკალურობაზე, მის სამსახოვნებასა და სილამაზეზე დაფუძნებული.

გარკვეულია ისიც, რომ პავილიონს ალისა და ნინოს ქანდაკების ავტორი თამარ კვესიტაძე გააფორმებს, ხოლო კულტურულ პროგრამას რეჟისორი დავით დოიაშვილი გაუძღვება.

რა გვიანდება?

სლოგანი.

ლოგო.

კონტრაქტები.



ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხის გამოყოფა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე აცხადებს, რომ გერმანული მხარე დაგვიანებას არ ადასტურებს.

მისი ოპონენტები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.

ეკა მაზმიშვილი (მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი): „ფრანკფურტი მუდმივად გვაჩქარებს“...

დათო ტურაშვილი (მწერალი): „მაშინ რატომ მეკითხება ჩემი გერმანელი მთარგმნელი, რატომ აგვიანებთო?!“

აქ კი ბაზრობაზე საუბარი დროებით შევწყვიტოთ და პრობლემის მეორე მხარეს გავეცნოთ.

## უფასო წიგნი მხოლოდ განათლების სამინისტროშია?!

საკითხი სასკოლო სახელმძღვანელოებს ეხება.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მათი უფასოდ დარიგება იტვირთა, რაც საზოგადოებამ, ბუნებრივია, დიდი კმაყოფილებით მიიღო.

მაგრამ ქვეყნად რომ უფასო არაფერია?!




თვით ზღაპრების წიგნიც კი.

მაგალითად, მე იმ გამოთქმასაც ვერ ვიზიარებ, რომ უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია.

ის ყველიც ხომ ვიღაცამ იყიდა?!

სახელმწიფომაც ასევე უნდა იყიდოს წიგნები და შემდეგ დაარიგოს.

ვისგან უნდა იყიდოს?

რა თქმა უნდა, ინტელექტუალური საკუთრების მფლობელებისაგან (აქ გამომცემლობები და ავტორ-შემდგენლები უნდა მოვიაზროთ).

გამიგონია, არჩილ გოგელია, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორობისას, მთავრობაზე ხშირად ჯავრობდა – მაგათ ჰგონიათ, გაზეთი კიოსკში გამოდისო...

ამათაც ჰგონიათ, რომ წიგნი პირდაპირ სტამბაში ჩნდება.

ბევრს სტამბა და გამომცემლობა ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან!

სინამდვილეში, რამდენი პროფესიული და პედაგოგიკური ცოდნა, განათლება, პედაგოგიური გამოცდილება, დრო, ენერგია და შრომა სჭირდება ავტორს, რედაქტორს, კორექტორს, მხატვარს, დიზაინერს, ამკრეფს, დამკაბადონებელს, მთელ საგამომცემლო ჯგუფს.

ჯერ კონკურსი უნდა გამოცხადდეს.

უნდა შეირჩეს – გრიფი უნდა მიენიჭოს.

ავტორისა და გამომცემლისათვის ეს კოლოსალური შრომაა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კი დასცინის გამომცემლობებსა და ავტორებს და წიგნის სასტამბო ღირებულების 10 პროცენტს უხდის (?!)

რა გამოდის?!

წიგნის მექანიკური დაბეჭდვა ცხრაჯერ უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ის ინტელექტუალური ნაღვაწი, რომელსაც ეს წიგნი შეიცავს.

შეიძლება, რომელიმე თავმოყვარე ავტორი და გამომცემლობა ამას დათანხმდეს?!

არც თანხმდებიან.

არადა, გამომცემლობების ნაწილს საკუთარი სტამბა აქვს, სადაც საკუთარ წიგნებს არ აბეჭდვინებენ. მათი სტამბები სულს ღაფავენ.

უცხოელ გამომცემლებს, ინგლისურის სახელმძღვანელოები რომ შემოაქვთ თორმეტივე კლასისათვის, ამას როგორ გაუბედავენ (?!).

შეიქმნა ბეჭდვის მონოპოლია სახელმწიფოს ხელშეწყობით!

სასამართლოს მიმართეს და, საქართველოში რომ ვერაფერს გახდნენ, სტრასბურამდეც ჩავიდნენ.

დგანან და ელოდებიან.

ერთ მილიონამდე ეგზემპლარი მოქმედი სახელმძღვანელო საწყობებში უდევთ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კი ოთხი წელია ჯიუტად, ბლუჯა-ბლუჯა ბეჭდავს და ბეჭდავს უკანონოდ წართმეულ სხვის საკუთრებას, შესაბამისი ტენდერების გარეშე.

„უფასო სახელმძღვანელოების“ პროექტით განათლების ერთი მინისტრი პრეზიდენტი გახდა.

აი, ასე იგებენ ხალხის გულს – ავტორებისა და გამომცემლობების ხარჯზე?!

გამომცემლობების უმრავლესობა გაკოტრების ზღვარზეა.

მარტო გამომცემლობები?

წიგნის მაღაზიებიც ამ დღეშია.

ნუთუ ამის გაგება ბატონი ჯეჯელავასთვის ასე ძნელია?!

გამომცემლები ამბობენ, უთუოდ პრეზიდენტობაზე ფიქრობსო. ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ...

– ხომ არ ეჩვენებათ, რომ უფასო სახელმძღვანელოების იდეას ეწინააღმდეგებით? – ვეკითხებით გამომცემლებს.

– არ ეჩვენებათ, მაგრამ ცდილობენ, ასე წარმოაჩინონ. ჩვენ კი გარკვევით ვამბობთ, რომ სახელმძღვანელოები უფასოდ უნდა მიიღოს შეჭირვებულმა მოსახლეობამ. არსებობს სოციალურად დაუცველთა ფენა, რაც მოსწავლეთა 25 პროცენტს მოიცავს. მათ სახელმძღვანელოები, ცხადია, უფასოდ უნდა დაურიგდეთ. დანარჩენებზე უნდა გაიცეს ვაუჩერი, რომელიც დაფარავს ღირებულების 80 პროცენტს. არსებობს სხვა მოდელებიც. ის მოდელი, რომელიც საქართველომ აირჩია, ყველა ქვეყანაში წარუმატებელი გამოდგა. ამიტომაც უარი უნდა ვთქვათ და სხვა ავირჩიოთ.

რატომ უნდა მივცეთ უფასო სახელმძღვანელო მინისტრის, პარლამენტარის, ბანკის მმართველის, ბიზნესმენის შვილებს.

ეს ხომ ნამდვილი კურიოზია?

ნამდვილად კურიოზია!

და ასევე ნამდვილად შეგეცოდება პრემიერ-მინისტრი – მართლა ყველაფერს ხომ ვერ გააკონტროლებს?!

არადა, ამ საკითხის მოსაგვარებლად სტრასბურში წასვლა რატომ უნდა გვჭირდებოდეს?

ანდა მინისტრთან ოცჯერ შეხვედრა?!

* * *

და მაინც, რით არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული სტატიის დასაწყისში დასმული ეს, ერთი შეხედვით, ორი სხვადასხვა საკითხი?

პასუხი მარტივია:

თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამომცემლობების პრობლემას ვერ გადაწყვეტს, ისინი უცილობლად გაკოტრდებიან, დაიხურება განათლებისა და კულტურის ნალოლიავები ცენტრები.

და როგორ წარდგებიან ასეთ დღეში მყოფი ქართული გამომცემლობები 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, სადაც საქართველო საპატიო სტუმარი იქნება?!

ადვილი წარმოსადგენია, იქ როგორი „ქართული ტრიუმფი“ შედგება.

ეს ღმერთმა ნუ ქნას!

მაგრამ, ღმერთმა რომ არ ქნას, ამისათვის ორმა სამინისტრომ – კულტურისამ და განათლებისამ – ხელი უნდა გაანძრიოს.

თანაც – სინქრონულად, დროულად და სამართლიანად...

ჯაჭვის გაწყვეტაზე ფიქრი დანაშაულია.

ფრანკფურტზეც ერთად უნდა იფიქრონ.

P. S. სამართლიანად შენიშნა ამ დღეებში ექსპერტმა გია ხუხაშვილმა: წიგნის ბიზნესის წარმოება დღეს, ფაქტობრივად, ქველმოქმედების ტოლფასია... და ამ სეგმენტზე შეტევა, თუნდაც სამართლიანი იყოს შენი მოთხოვნები, კითხვებს კი არ ხსნის, ახალ და ახალ კითხვებს აჩენს... ამას წიგნსა და წიგნიერებაზე შეტევას დავარქმევდი...

**დავით კვანტალიანი**

# მეუფე პეტრე: „მამა გიორგი მამალაძე არის აბსოლუტურად უდანაშაულო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ან. და რატომ არ უნდა იყოს ეს საქართველოში? – აღნიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ.

* * *

პროკურატურის სკანდალური განმარტების შემდეგ ოპოზიცია ხელისუფლებისგან განმარტებებს ითხოვს. ხელისუფლების წარმომადგენლები კი იმის მტკიცებაში არიან, რომ განსამარტი არაფერია.

ერთ-ერთი პირველი, ვინც პატრიარქის შესაძლო მოწამვლაზე განცხადება გააკეთა, დეპუტატი ეკა ბესელია იყო. ის ისევ პირველ ჩვენებას აწვება და ამბობს, რომ სტატუსიდან გამომდინარე სერიოზულ ინფორმაციებს ფლობს.

– ჩემი სტატუსიდან და ვალდებულებებიდან გამომდინარე, ცოტა იმაზე მეტი ინფორმაცია მაქვს, ვიდრე ამაზე ვსაუბრობ. რაც განვაცხადე, დღესაც იგივეს ვიმეორებ და საფუძველი მაქვს, როცა ასეთ განცხადებას ვაკეთებ, – ამბობს ეკა ბესელია.

მისი განცხადებით, ხელისუფლებიდან ცრუ განცხადება არავის გაუკეთებია და დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავება ის საქმე არ არის, რომლითაც შეიძლება პოლიტიკური კამპანია და დებატები გაჩაღდეს:

– მინდა მივმართო „რუსთავი 2“-ს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც შეეცდება, რომ ამ საქმის პოლიტიკური სპეკულაცია დაიწყოს, ეს არ არის ის საქმე, რომელზეც შეიძლება ჩვენ პოლიტიკური კამპანია და პოლიტიკური დებატები გავაჩაღოთ. ის განცხადებები, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით გაკეთდა, გაკეთდა ზუსტად იმ ვითარებისა და რეალობის გათვალისწინებით, რაც წინ უძღოდა ამ განცხადებების გაკეთებას. იგივე შემიძლია გავიმეორო დღეს და ჩემთვის შოკის მომგვრელია, როცა ვისმენ ასეთ ცინიკურ შეფასებებს ცალკეულ შემთხვევებში, ეს სრულიად დაუშვებლად მიმაჩნია, როცა საქმე ეხება საქართველოს ეკლესიას, კათოლიკოს-პატრიარქის ჯანმრთელობას, მის უსაფრთხოებას და ისეთ საკითხებს, რომლებიც არის მგრძნობიარე და ფაქიზი.

ამ საკითხის გაუბრალოება და ცინიკური განცხადებების მოსმენა, რომ თურმე ბოდიში უნდა მოიხადოს პრემიერმა და იუსტიციის მინისტრმა და დეპუტატებმა, ასე არ არის, – ამბობს ბესელია.

მისი თქმით, ბოდიში უნდა მოიხადონ მათ, ვინც ამ თემაზე სპეკულაციებს აკეთებენ. ბესელია ამბობს, რომ ის ყველა დეტალზე ვერ საუბრობს, რადგან მიაჩნია, რომ გამოძიების მიმდინარეობას უნდა დაელოდოს.

– თუ პროკურატურა იმ ფაქტებს გაასაჯაროებს, რაც გააჩნია, სპეკულაციების სურვილი ბევრ ადამიანს გაუქრება. არც ერთ იმ განცხადებას არ უარვყოფ, რაც გამიკეთებია და საფუძველი მაქვს, როცა ამ განცხადებას ვაკეთებდი. თქვენ ხომ არ იცით, გამოძიებას რა მასალები აქვს? – განაცხადა ბესელიამ.

პრემიერის პასუხისმგებლობის საკითხზე ამ დღეებში ბევრი განცხადება გაკეთდა. ამას არ ეთანხმება შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი. ის ამბობს, რომ პრემიერს სამართლის საკითხებში არ აქვს მაღალი კვალიფიკაცია.

– პრემიერის განცხადება ნიშნავს იმას, რომ სავარაუდოდ პრემიერ-მინისტრს სამართლის საკითხებში არ აქვს მაღალი კვალიფიკაცია და ეს იყო მისი მხრიდან პოლიტიკური განცხადება. პრემიერ-მინისტრი არ არის საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელი, ის არის პოლიტიკური ფიგურა, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და არ არის ვალდებული, რომ გათვითცნობიერებული იყოს საგამოძიებო ნიუანსებში. შესაძლებელია მისი კვალიფიკაცია, როგორც პოლიტიკოსისა, არ იძლეოდეს საშუალებას იმისას, რომ მაინცდამაინც აუცილებლად ჩაიხედოს საქმის საგამოძიებო დეტალებში, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ექსმინისტრმა.



პროკურატურის დაცვას ცდილობს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი. მისი თქმით, საგამოძიებო უწყების მხრიდან ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები არ გაკეთებულა.

– თავდაპირველად და შემდეგ გაკეთებულ განცხადებებში ურთიერთგამომრიცხავი არაფერია. როცა საზღვარზე ხდება პირის დაკავება, რომელსაც აღმოაჩნდა მომწამლავი ნივთიერება და ყველასათვის ცნობილია, რომ ეს პირი მიემგზავრებოდა იქ, სადაც პატრიარქი იმყოფებოდა, ბუნებრივია, სახელმწიფო ამ შემთხვევაში ვალდებულია, რომ ყველანაირი საფრთხისგან დაიცვას თავი. ეს მოხდა და ეს გაკეთდა სახელმწიფოს მხრიდან, – განაცხადა გიორგი კახიანმა.

რაც შეეხება პატრიარქის განცხადებას იმის შესახებ, რომ ქვეყანაში „უცნაური და არანორმალური პროცესები მიმდინარეობს“, კახიანი ყველას ურჩევს, რომ ინტერპრეტაციებს თავი დაანებონ.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ბაზარზე საქონლის ხორცის დეფიციტი შეიქმნა

## ექსპორტის ზრდის გამო



ბოლო რამდენიმე კვირაა, ბაზარზე საქონლის ხორცის დეფიციტი შეიქმნა. ხორცპროდუქტების მწარმოებლები მიზეზად საქონლის ექსპორტის მზარდ ტენდენციას ასახელებენ, რისი გავლენითაც ადგილობრივ ბაზარზე მსხვილფეხა პირუტყვის შესყიდვა საკმაოდ გართულდა. ამან კი ასახვა ჰპოვა პროდუქციის ღირებულებაზეც.

სარეალიზაციო ქსელებსა და აგრარულ ბაზრობებზე საქონლის ხორცი დაახლოებით 2 ლარამდე გაძვირდა.

საქსტატის მონაცემებით, იანვარში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი 3,9 პროცენტით გაიზარდა, წინა თვესთან შედარებით კი – 4,2%-ით. აქედან ხორცი და ხორცპროდუქტები 2,5%-ით გაძვირდა.

– ფასების ზრდა გამოიწვია გაზრდილმა ექსპორტმა მცირეწონიანი, 150-200- კილოიანი საქონლის, რომელიც ერაყში გადის. ვინც საქართველოში ყიდულობდა პირუტყვს, ასუქებდა და მერე ყიდდა, მათ უჭირთ საქონლის მოძიება. სწორედ ამან გამოიწვია, რომ ბაზარზე აღარ არის დასაკლავი საქონლის რაოდენობა.

თუ ერაყის ბაზარი მომთხოვნი იქნება, ვფიქრობ, გაიზრდება ხორცის იმპორტი. ეს, ფასებიდან გამომდინარე, არ იქნება სასარგებლო ბაზრისთვის. გაზრდილი ფასი მეწარმისთვის კარგია, თუმცა, თუ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა იქნება დაბალი, ეს პრობლემა იქნება ჩვენთვისაც, – აცხადებს ბიზნესკონტრაქტთან „ბექას ნობათის" ერთ-ერთი დამფუძნებელი ბექა გონაშვილი.

ბაზარზე ხორცის დეფიციტის შექმნას არაბულ ქვეყნებში ქართული საქონლის მასობრივ გადინებას უკავშირებს ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ივერიის" ხელმძღვანელიც, თუმცა, მისი თქმით, ეს პროცესი, შესაძლოა, სეზონურობითაც იყო განპირობებული.

– ზამთრის სეზონზე ყოველთვის მატულობს ხორცის ფასი. გატანა დაიწყო ირანში, თურქეთშიც გადის. დიდად არ ვღელავ ამ ფაქტით, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მეცხოველეობის აღმავლობა. მოსახლეობას, რომელიც ამ საქმიანობით არის დაკავებული, გაუჩნდება მოტივაცია, რომ მეტად განვითარდე, – აცხადებს ალექსანდრე ქამუშაძე.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოდან საქონლის ექსპორტი ძირითადად აზერბაიჯანში ერაყში, ეგვიპტეში, სირიასა და საუდის არაბეთში ხორციელდება.

**ელენე გოგბერაშვილი,**
**ბიზნესკონტრაქტი**

# საქართველომ და აზერბაიჯანმა შესაძლოა, ერთობლივი ტურისტული მარშრუტები შექმნან



სომხეთის შემდეგ საქართველოსთან ერთიანი ტურისტული მარშრუტის შექმნის იდეას აზერბაიჯანიც განიხილავს.

აღნიშნული საკითხი თურქეთში მიმდინარე სამმხრივი ბიზნესფორუმის ფარგლებში საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრებმა განიხილეს.

როგორც საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გიორგი გახარია აცხადებს, საჰინ მუსტაფაევთან შეხვედრის მთავარი თემა სწორედ ტურიზმი იყო.

– აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრა ძალიან მეგობრული და შედეგიანი იყო, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან და მეგობართან. შეხვედრისას განვიხილეთ ისეთი კონკრეტული თემა, როგორიც არის, მაგალითად, შესაძლებლობა, თუ როგორ შეუძლიათ საქართველოს და აზერბაიჯანს შექმნან ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ტურისტული მარშრუტი, რათა ქვეყანაში ტურისტების რაოდენობის ზრდას ხელი შეუწყონ.

მარტივად შეგვიძლია ჩვენ ჩვენი ტურისტულად ყველაზე მიმზიდველი ქალაქები და კურორტები დავუკავშიროთ ერთმანეთს, გავითვალისწინოთ ჩვენს საჰაერო სივრცეში რეისების რაოდენობა, მოვიზიდოთ დამატებითი ტურისტები და აქაც ერთმანეთს მივეხმაროთ, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მინისტრის თქმით, არსებობს ბევრი თანხვედრის წერტილი.

– კონკრეტულ თემებზე თანამშრომლობა, კონკრეტულ კომპანიებთან ურთიერთობა, ხელშეწყობა მათი ბიზნესურთიერთობების დამყარებისთვის არის ყველაზე მარტივი, სწორი და სწრაფი გზა, რათა ჩვენი ეკონომიკის ზრდას ხელი შევუწყოთ, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

* * *

აქამდე საქართველოსთან ერთიანი ტურისტული მარშრუტის შექმნის იდეა სომხეთშიც გააჟღერეს.

2016 წლის ბოლოს სომხეთისა და საქართველოს ტურისტული სფეროს წარმომადგენლებმა ერთიანი ტურისტული პაკეტის შექმნა და რეგიონული ტურიზმის განვითარება განიხილეს. მაშინ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლები ასოციაციების წევრი კომპანიებთან ერთად სომხეთშიც იმყოფებოდნენ.

როგორც მაშინ სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის უფროსი მეხაკ აპრესიანი აცხადებდა, თანამშრომლობა საქართველოსთან როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კერძო სექტორის დონეზე ყოველწლიურად ღრმავდება, თუმცა ეს საკმარისი არ არის და თანამშრომლობა უნდა გააქტიურდეს.

– უკვე გვაქვს შეთანხმებები საქართველოს ტურიზმის ნაციონალურ ადმინისტრაციასთან, – განაცხადა აპრესიანმა და დასძინა, რომ ასევე მიღწეულია შეთანხმება ირანთან ტურისტული პაკეტის ფორმირებაზე სამმხრივ ფორმატში – სომხეთს, საქართველოსა და ირანს შორის.

**კომერსანტ.გე**

# მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შემოყვანა აღარ იკრძალება



მარჯვენა და საჭეგადატანილი ავტომობილების შემოყვანა საქართველოში აღარ აიკრძალება.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტიდან იმ პუნქტის ამოღება მოხდება, რომელიც იმპორტირებული მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი მსუბუქი ავტომობილებისა და ავტობუსების რეგისტრაციის აკრძალვას გულისხმობდა.

ცვლილებათა პაკეტის ინიცირება, რომელიც მარჯვენა და საჭეგადატანილი ავტომობილების აკრძალვასთან ერთად, მართვის მოწმობებზე 100-ქულიანი სისტემის შემოღებასა და „ფარულ პატრულირებას" გულისხმობდა, 2015 წლის ბოლოს მოხდა.

კანონპროექტის ავტორი შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო.

უწყების ცნობით, კანონპროექტის განხილვა პარლამენტში რამდენიმე დღეში განახლდება და მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვის შესახებ ჩანაწერი ამოღებული იქნება.

2017 წლის იანვრიდან „საგადასახადო კოდექსში" შესული ცვლილებების თანახმად, მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე აქციზის გადასახადი გასამმაგდა. შედეგად, საქართველოში იმპორტირებული მარჯვენა და საჭეგადატანილი ავტომობილების აკრძალვის საჭიროება აღარ დგას.

**ბიპიენი**

# ალფა: „იმ კომპანიებს, რომლებიც თანამშრომლებს აზღვევენ, ბიუჯეტის გაზრდა მოუწევთ"



სადაზღვევო კომპანია „ალფას" გენერალური დირექტორი მთავრობის 73-ე დადგენილების ამოქმედებით მოსალოდნელ რისკებზე საუბრობს.

როგორც მაკა სონღულაშვილი ბიზნესკონტრაქტთან აცხადებს, კორპორატიული დაზღვევის მიმართულებით ახალ რეალობაში არსებული სადაზღვევო პაკეტის ფასი ველარ დაფარავს იმ რისკებს, რომლებსაც საყოველთაო იზიარებდა.

შედეგად კომპანიებს, რომლებიც აზღვევენ თანამშრომლებს, მოუწევთ ამ მიმართულებით მეტი დაფინანსების გამოყოფა.

– როცა იყიდება კორპორატიული დაზღვევა დათვლილია ის რისკი, რომელიც განაწილებულია საყოველთაო დაზღვევის პოლისზეც. შესაბამისად, გაუქმდება და გაძვირდება არა მარტო ინდივიდუალური დაზღვევა, არამედ კომპანიებს, რომლებიც აზღვევენ თანამშრომლებს, მოუწევთ ბიუჯეტის გაზრდა, რადგან არსებული ფასი იმ რისკებს ველარ დაფარავს, რადგან ველარ მოხდება ჩვენი რისკების საყოველთაო პროგრამასთან გაზიარება, – აცხადებს სონღულაშვილი.

მისი თქმით, მიღებული დადგენილებით იზღუდება ასევე მოსახლეობის უფლება, ჰქონდეს კერძო დაზღვევა თუ სარგებლობდეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით.

– 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თუ ბენეფიციარს ჰქონდა კორპორატიული ან კერძო დაზღვევა, ის ამოვარდნილი იქნება 2017 წლის 1 მარტიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბაზიდან. რთული სიტუაციაა, რადგან მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ გადაწყვიტოს, იყოს საყოველთაო პროგრამის დაფარვის ქვეშ თუ იყიდოს კორპორატიული დაზღვევა, – განმარტავს „ალფას" გენერალური დირექტორი.

**ელენე გოგბერაშვილი,**
**ბიზნესკონტრაქტი**

# ფილიპ მორისი სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებს

„ფილიპ მორის საქართველო" გაასაჩივრებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვალს გამოცხადებულ გადაწყვეტილებას.

როგორც კომპანიაში განმარტავენ, აღნიშნული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

– ჩვენ უმკაცრესად დავიცავთ ჩვენს პოზიციას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში. ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს ჯერ არ გამოუცია საბოლოო გადაწყვეტილების ტექსტი, ჩვენ ამჟამად ვერ გავაკეთებთ დამატებით კომენტარს საქმის დეტალებთან დაკავშირებით.

ჩვენ გვჯერა, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები განიხილავენ ჩვენს საქმეს და მოგვცემენ შესაძლებლობას, დავამტკიცოთ ჩვენი სიმართლე, რათა „ფილიპ მორისმა" კვლავ შეძლოს, შეიტანოს წვლილი საქართველოს განვითარებაში, რასაც წარმატებით ვაკეთებდით ბოლო 20 წლის განმავლობაში, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორი, – ვკითხულობთ კომპანიის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ „ფილიპ მორისი" თბილისის საქალაქო სასამართლომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და ბაზარზე დემპინგური ფასებით ოპერირებაში დამნაშავედ მიიჩნია და 92 მლნ ლარის ჯარიმა დააკისრა.




# ჭიაბერაშვილი: „სერგეენკომ კერძო დაზღვევა 20-30%-ით გააძვირა"



– დავით სერგეენკოს მორიგი „რეფორმა" ასიათასობით მოქალაქის ჯანდაცვის კატასტროფული ხარჯების დაფინანსების გარეშე დატოვების რეალურ საფრთხეს შეიცავს.

ამის შესახებ „მოძრაობა თავისუფლებისათვის – ევროპული საქართველოს" წევრმა, ზურაბ ჭიაბერაშვილმა პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე მტკიცებით, ჯანდაცვის მინისტრის 3 წლის წინანდელმა ანალოგიურმა გადაწყვეტილებამ უკვე დააზარალა 115,000-ზე მეტი ადამიანი, რომელიც 2014 წლიდან ვერც ჯანმრთელობის კერძო დაზღვევით სარგებლობს და ვერც – საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბაზისური პაკეტით.

– დავით სერგეენკოს გადაწყვეტილების შედეგად, კერძო დაზღვევა 20-30%-ით გაძვირდება, რომელიც ისედაც გაორმაგებულია 2013 წლის შემდეგ. მის ყიდვას, მით უმეტეს, შექმნილი ეკონომიკური კრიზისის პირობებში, უფრო და უფრო ნაკლები მოქალაქე შეძლებს.

ამიტომ კერძო დაზღვეულთა რიცხვი, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ არ გაზრდილა, შემცირდება. ამ გადაწყვეტილებით ფინანსური პრობლემების წინაშე დგება სადაზღვევო ინდუსტრიაც და ვერც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის თანხების დაზოგვა მოხდება, რასაც ვითომდა ესწრაფვის ჯანდაცვის მინისტრი, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ამ მდგომარეობაში „ევროპული საქართველო" დავით სერგეენკოსა და სადაზღვევო კომპანიებს გამოსავალს სთავაზობს.

– გამოსავალი შემდეგია: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაფარული მოქალაქეების (ნაწილის მაინც) ჯანმრთელობაზე ზრუნვა, სახელმწიფო დაფინანსებით და ჯანდაცვის სამინისტროს მკაფიო და გამჭვირვალე კონტროლით, უნდა გადავიდეს სადაზღვევო კომპანიების ხელში, – განაცხადა ბ-მა ჭიაბერაშვილმა.

მისი თქმით, ბოლო წლების განმავლობაში ღარიბებს ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა გაუუარესდათ, რადგან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ თანხების უყაირათოდ ხარჯვის პირობებში მოქალაქეს საკუთარი ჯიბიდან მკურნალობის მთლიანი ხარჯის 60%-ის დაფარვა უხდება.

– საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, უყაირათო ხარჯვის გამო, ქრონიკულად არ ჰყოფნის თანხა, რის გამოც ჯანდაცვის სამინისტრო საავადმყოფოებს ანაზღაურებას მუდმივად უგვიანებს. ეს კი მედპერსონალის ხელფასების გაუცემლობაში, სამედიცინო მომსახურების ხარისხის დაქვეითებასა და პაციენტების მიერ ჯიბიდან გადახდების ზრდაში აისახება.

ასეთ პირობებში ჯანდაცვის სფეროს კიდევ ერთ მნიშვნელოვან სეგმენტზე – სადაზღვევო ინდუსტრიაზე დარტყმა პრობლემებით დახუნძლულ ჯანდაცვის სფეროში მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს, – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

**ბიპიენი**

# ტონი ბლერი: „ევროკავშირიდან გასვლა დიდ ბრიტანეთს პრობლემებს შეუქმნის“



დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს ნაბიჯი დიდ ბრიტანეთს ბევრ პრობლემას შეუქმნის.

გარდა ამისა, ბლერმა აღნიშნა, ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი შეიცვალოს.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი თვლის, რომ ბევრი ადამიანი შეიცვლის აზრს მას შემდეგ, რაც ბრექსითის პირობებს გაიგებს.

– ხალხის დიდმა ნაწილმა რეფერენდუმზე ისე მისცა ხმა, რომ მათ ზუსტად არ იცოდნენ, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას. ახლა მათ ეს იციან, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი ადამიანი აზრს შეიცვლის, ჩვენ უბრალოდ მათ ამის გაკეთებაში უნდა დავეხმაროთ, – განაცხადა ტონი ბლერმა.

ბრიტანეთის პარლამენტის უმაღლესი ინსტანცია, ლორდთა პალატა, ამ საკითხს უახლოეს დღეებში განიხილავს და თუ ლორდთა პალატა ბრექსიტს ძალაში დატოვებს, ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურები ოფიციალურად დაიწყება.

# „სამსუნგის“ ვიცე-პრეზიდენტი დააკავეს



სამხრეთ კორეაში კომპანია „სამსუნგის“ ვიცე-პრეზიდენტი ლი ჩჟე იონი დააკავეს, რომელსაც ბრალად კორუფცია და ქრთამის მიცემა ედება.

ლი ჩჟე იონის მამამ ლი გონ ხიმმა შარშან ინფარქტი გადაიტანა, ამიტომ ლი ჩჟე იონი ფაქტიურად „სამსუნგის“ არაოფიციალური მმართველი იყო.

მას ბრალად ედება კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობა და სამხრეთ კორეის ყოფილი პრეზიდენტის ფონდებში უკანონოდ ფულის გადარიცხვა.

„სამსუნგის“ ვიცე-პრეზიდენტი ამ ბრალდებებს უარყოფს და ჯერჯერობით დეტალებზე არ საუბრობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლი ჩჟე იონმა ყოფილი პრეზიდენტის ფონდში დაახლოებით 41 მილიონი დოლარი გადარიცხა იმისთვის, რომ პრეზიდენტს „სამსუნგში“ მიმდინარე მთელ რიგ საკითხებზე თვალი დაეხუჭა.

გამოძიების ვერსიით, თანხის ამგვარი გადარიცხვა ქრთამის მიცემას უნდა ნიშნავდეს.

# ესპანეთის მეფის და სასამართლომ გაამართლა



ესპანეთის მეფის და, ინფანტა კრისტინა დე ბურბონი, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო.

ინფანტას ფინანსურ მაქინაციებში ედებოდა ბრალი მის ქმართან, ინიაკი უნდარგარინთან ერთად, რომელიც სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

უნდარგარინს ბალეარის კუნძულებზე ფირმა ჰქონდა, რომელიც ვალენსიის ბიუჯეტიდან მსხვილ თანხებს იღებდა და შემდგომ ამ თანხების განაწილება ვიწრო ჯგუფის მიერ ხდებოდა.

ესპანეთის მეფის დის ქმარს ბრალი თაღლითობაში, კავშირების ბოროტად გამოყენებასა და სახელმწიფო ხაზინის წინააღმდეგ დანაშაულებში ედება ბრალი. მიუხედავად იმისა, რომ ინფანტა კრისტინა დე ბურბონი სასამართლომ გაამართლა, მას მაინც დაეკისრა 265 ათასი ევროს გადახდა ფულადი ჯარიმის სახით, რადგან მან სარგებელი ნახა ქმრის მიერ ჩადენილ დანაშაულში.

## კალეიდოსკოპი

# ამერიკელი ქალი ერთი წლის მანძილზე ინსტაგრამში საკვების ყოველ მიღებას აფიქსირებდა

ქალაქ ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონში მცხოვრები ქალი ერთი წლის მანძილზე ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტზე აქვეყნებდა მის მიერ შეჭმული ყველა კერძის ფოტოსურათს.

25 წლის სემი მეინმა მას შემდეგ გადაწყვიტა სოციალურ ქსელში დაეფიქსირებინა საკვების ყოველი მიღება, როდესაც მიხვდა, რომ ორთორექსაციით (ჯანსაღი კვებით გადამეტებული გატაცება) იყო შეპყრობილი. დაავადების პიკზე მყოფმა გოგონამ მადა დაკარგა. ის 30 კილოგრამს იწონიდა და კვების რაციონიდან ამოღებული ჰქონდა მთელი რიგი პროდუქტები, რომლებსაც ის მავნედ მიიჩნევდა.

მიკრობლოგი, რომელშიც მეინი საკვების მიღებას აფიქსირებდა, მას დაეხმარა საკუთარი რაციონისთვის უცხო თვალით შეეხედა. ის აკაუნტს ორწლინახევრის მანძილზე უძღვებოდა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფოტოსურათებს რეგულარულად დღეში ორჯერ აქვეყნებდა. ამან ეფექტი გამოიღო და გოგონამ წონაში 40-43 კილოგრამამდე მოიმატა.

– დროთა განმავლობაში ჩემი კერძების ფოტოსურათები შეიცვალა: საჭმელი გაცილებით მადის აღმძვრელი გახდა, ხოლო ულუფები გაიზარდა, – განაცხადა მეინმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ინსტაგრამ-აკაუნტით მკურნალობის დაწყება თავად არ მოუფიქრებია და ის მას დიეტოლოგმა ურჩია. ახლა, მეინის თქმით, მას ისევ გაუჩნდა საკვების მიმართ ნდობა, მაგრამ ამავე დროს სწორი კვების პრინციპის ერთგული რჩება.




ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ტეხასურმა ოჯახმა გიგანტური ბიზონი შინაურ ცხოველად აქცია

ამერიკის ტეხასის შტატში მცხოვრებმა წყვილმა უზარმაზარ ბიზონს თავიანთ სახლში ცხოვრების უფლება მისცა. რონი და შერონ ბრიჯისები იძულებულნი გახდნენ, 52 ბიზონისგან შემდგარი თავიანთი ნახირი 13 წლის წინ გაეყიდათ, როდესაც მამაკაცმა თვალი დაკარგა და ცხოველების მოვლას ველარ ახერხებდა. წყვილმა ერთი ხარი, სახელად ველური დაიტოვა და სახლში მისთვის ცალკე ოთახი მოაწყო. ცხოველი ამჟამად 1100 კილოგრამზე მეტს იწონის. ბიზონი ოჯახის წევრად იქცა. ის დაესწრო ბრიჯისების ქორწილს, საკვებს საკუთარი ჯამიდან მიირთმევს, რომელსაც სასადილოს მაგიდაზე უდგამენ, მასთან ერთად უყურებენ ფილმებს.

– ის ნამდვილი სპილოა ჭურჭლის დახლში, მაგრამ, გაკვირვებული ვარ იმით, რომ, მიუხედავად მისი უზარმაზარი ზომისა და 180-კილოგრამიანი თავისა, უმნიშვნელოდ აზიანებს სასადილოს, – განაცხადა 60 წლის რონიმ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რექს ტილერსონი სერგეი ლავროვს შეხვდა



ბონში შედგა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის რექს ტილერსონის შეხვედრა რუსეთის საგარეო მინისტრ სერგეი ლავროვთან.

ეს იყო ტრამპის ადმინისტრაციის პირველი ოფიციალური კონტაქტი მოსკოვთან. ტილერსონი ყოველმხრივ ხაზს უსვამდა, რომ საბრძოლოდ არის განწყობილი. შეხვედრის წინ მან ჟურნალისტებს განუცხადა:

– მოსკოვ-ვაშინგტონს შორის ურთიერთობებში მტკივნეულ პრობლემებად რჩებიან უკრაინა და ავღანეთი. პირადად მე უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას მხარს ვუჭერ.

მოლაპარაკებებისას უკრაინის საკითხს დიდი ყურადღება დაეთმო.

ტილერსონმა განაცხადა, რომ მინსკის შეთანხმებები არ სრულდება და ეს ბრალად რუსეთს დასდო. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რუსეთი გააფრთხილა, რომ ესკალაცია მოსკოვისთვის სავალალო შედეგით დასრულდება.

– მინსკის პროცესს ალტერნატივა არ გააჩნია, ეს მართალია, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ გარკვეული ძალები მინსკის შეთანხმებებს თავისებურად აღიქვამენ, ანუ სურთ, რომ მხოლოდ ის მუხლები შესრულდეს, რომლებიც მათთვის არის ხელსაყრელი, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მინისტრმა.

ლავროვთან შეხვედრისას ტილერსონი საკმაოდ ხისტი იყო. ექსპერტებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ რუსებსა და ტრამპს შორის თაფლობის თვე დასრულდა.

ამან მოლაპარაკებებზე ერთგვარი დაძაბულობა წარმოშვა. ტილერსონმა ეს შენიშნა და პრესკონფერენციაზე მისი განმუხტვა ცადა:

– ჩვენ მზად ვართ რუსეთთან კონტაქტისთვის, მაგრამ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ამერიკის ინტერესებს შეესაბამება, – თქვა ტილერსონმა.

# ტრამპი: „რუსეთთან არაფერი მაკავშირებს“



დონალდ ტრამპმა პრეზიდენტის რანგში პირველი პრესკონფერენცია გამართა.

მან რუსეთთან ურთიერთობებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

– მე რუსებთან არაფერი მაკავშირებს, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ტრამპმა აღნიშნა, რომ სურს, მოსკოვთან კარგი ურთიერთობები ჰქონდეს და ამაში ვერაფერს კრიმინალურს ვერ ხედავს.

– ჰილარი კლინტონიც, როცა სახელმწიფო მდივანი იყო, რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვას ცდილობდა, – თქვა ტრამპმა და დაამატა, რომ მოსკოვთან საერთო ენის გამოძებნა ამერიკის ინტერესების დათმობის ხარჯზე არ მოხდება.

– ჩვენ არ ვაპირებთ, გავყიდოთ უკრაინა, რომელიც ჩვენი მოკავშირეა, ან დავთმოთ ბალტიისპირეთი. პირიქით, ამ ქვეყნებისადმი მხარდაჭერა გაიზრდება, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა შენიშნა, რომ შეუძლია, რუსეთის მიმართ უფრო ხისტი იყოს, მაგრამ თვლის, რომ ეს ნაადრევია.

– მსურს, ვლადიმერ პუტინთან გარიგებას მივაღწიო, რომელიც ხელსაყრელი იქნება აშშ-სთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა არ დააკონკრეტა, თუ რა გარიგების მიღწევა სურს, მაგრამ აღნიშნა, რომ რუსებთან ვაჭრობა მიმდინარეობს, ამავე დროს, შენიშნა, რომ პესიმისტურად არის განწყობილი.

– მეეჭვება, რომ პუტინთან შეთანხმების მიღწევას მოვახერხებ, თუმცა ბოლომდე იმედი არ დამიკარგავს, – განაცხადა ტრამპმა.

ტრამპმა ხაზი გაუსვა, რომ გავრცელებული ინფორმაცია რუსეთისთვის სანქციების მოხსნის ან ყირიმის რუსეთის ნაწილად აღიარების თაობაზე სიცრუეა.

– ესაა ფეიკ-ნიუსი, რომელიც მიზნად ისახავს ჩემს დისკრედიტაციას, – თვლის ტრამპი.

პრეზიდენტი პრესის წარმომადგენელთა მიმართ უჩვეულოდ აგრესიული იყო. მან ჟურნალისტები სიცრუეში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ამერიკული პრესა პოლიტიზებულია და მავანთა დაკვეთებს ასრულებს, მის მიერ გავრცელებული ინფორმაციები კი რუსეთთან დიალოგისას პრობლემებს ქმნის.

– მთელი ამერიკული მედია ჩემ წინააღმდეგ იყო მომართული. მიუხედავად ამისა, მაინც გავიმარჯვე! ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტების აღარავის სჯერა! ყველა მიხვდა, რომ ცუდი ხალხი ხართ! – გამოაცხადა ტრამპმა.

პრეზიდენტი გენერალ ფლინის გარშემო აზვირთებულ სკანდალზეც შეჩერდა. მან თქვა, რომ ფლინს თავისი უფლებამოსილებისთვის არ გადაუმეტებია.

– ის აკეთებდა იმას, რაც მე დავავალე. არავითარი საიდუმლო კონტაქტები რუსებთან ფლინს არ ჰქონია, – ამტკიცებს ტრამპი.

დასასრულს პრეზიდენტმა თავის გუნდზეც ისაუბრა. მან კატეგორიულად უარყო მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ტრამპის ადმინისტრაციაში ქაოსია.

– ჩვენ საათის მექანიზმივით ვმუშაობთ! – აცხადებს ტრამპი.



# უკრაინის ენერგეტიკაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს

პრეზიდენტმა პოროშენკომ ენერგეტიკაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მიზეზად მან ანტიტერორისტული ოპერაციის (ატო) ვეტერანთა მიერ დონბასის ბლოკადა დაასახელა.

– დონბასიდან ქვანახშირი ველარ შემოდის. ჩვენი ენერგეტიკა გაჩერების საფრთხის წინაშეა, – ამბობს პრეზიდენტი.

ენერგეტიკაში შექმნილ მდგომარეობას უკრაინის უშიშროების საბჭომ საგანგებო სხდომა მიუძღვნა. ძალოვნებს მიეცათ მითითება, რომ ატო-ს ზონაში სათანადო რეჟიმის შენარჩუნება უზრუნველყონ.

# პუტინი: „დასავლეთს რუსეთის პროვოცირება სურს“



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ დასავლეთში კვლავ დომინირებენ ძალები, რომლებსაც რუსეთზე ძალისმიერი ზეწოლა სურთ. მან რუსეთისადმი მტრულ პოლიტიკად მონათლა როგორც ნატოს გაფართოება, ასევე უკრაინისადმი მხარდაჭერის გაგრძელება და რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების შენარჩუნება.

– როგორც ჩანს, დასავლეთს ჩვენი პროვოცირება და კონფლიქტში ჩათრევა უნდა, – განაცხადა პუტინმა.

დასასრულ პრეზიდენტმა თავისი ხისტი გამონათქვამები ერთგვარად შეარბილა. მან თქვა, რომ რუსეთ-დასავლეთს შორის თანამშრომლობა აუცილებელია.

– უნდა აღდგეს ჩვენი ურთიერთობები აშშ-სთან, ნატოსთან, აღდგეს თანამშრომლობა სპეცსამსახურების დონეზე და თავდაცვის სფეროში, – თქვა პუტინმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ევროპა თასის გამო ინგლისს მოისაკლისებს

**მომავალ უქმეებზე ევროპა ინგლისის გარეშეა, თუმცა ნისლიან ალბიონზე მოსაწყენად არ ეცლებათ, რადგან სათასო მატჩებია, სხვა წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატში კი ჩვეულ რეჟიმში ითამაშებენ.**

## სტატისტიკა, ფსონები



### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.02 ხიხონი-ატლეტიკო | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| 18.02 რეალი-ესპანიოლი | 1.18 | 7.5 | 13.0 |
| 18.02 დეპორტივო-ალავესი | 2.05 | 3.3 | 4.0 |
| 18.02 სევილია-ეიბარი | 1.44 | 4.5 | 6.5 |
| 19.02 სოსიედადი-ვილიარეალი | 1.95 | 3.4 | 4.2 |
| 19.02 ვალენსია-ბილბაო | 2.3 | 3.4 | 3.1 |
| 19.02 სელტა-ოსასუნა | 1.53 | 4.2 | 6.0 |
| 19.02 ბარსელონა-ლეგანესი | 1.08 | 11.0 | 23.0 |
| 20.02 მალაგა-ლას პალმასი | 1.95 | 3.4 | 4.0 |

**ხიხონი-ატლეტიკო**

ხიხონი: ***ტრავმ***-სილვიან ბაბინი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ხოსე ხიმენესი, დიეგო გოდინი, იან ობლაკი, ტიაგო, აუგუსტო ფერნანდესი

**რეალი-ესპანიოლი**

რეალი: ***ტრავმ***-გარეთ ბეილი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-პაბლო პიატი, პაპაკოული დიოპი, ვიქტორ სანჩესი, ხავი ლოპესი, პეო ბაპტისტაო

**დეპორტივო-ალავესი**

დეპორტივო: ***ტრავმ***-არავინ

ალავესი: ***ტრავმ***-ედგარი

**სევილია-ეიბარი**

სევილია: ***ტრავმ***-კარლოს ფერნანდესი, ბენუა ტრემულანისი, მაიკლ კრონ-დელი

ეიბარი: ***ტრავმ***-ასიერ რიესგო, ალექს კალვესი, დავიდ იუნკა

**სოსიედადი-ვილიარეალი**

სოსიედადი: ***ტრავმ***-ვილიამ ხოსე, სერხიო კანალესი, კარლოს მარტინესი, მარკელ ბერგარა

ვილიარეალი: ***ტრავმ***-რობერტო სოლდადო

**ვალენსია-ბილბაო**

ვალენსია: ***ტრავმ***-ენცო პერესი, როდრიგო მორენო

ბილბაო: ***ტრავმ***-საბინი, კეპა არიზაბაგალა

**სელტა-ოსასუნა**

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

ოსასუნა: ***ტრავმ***-ნაუზეტი, მიგელ ფლანო, ხავიერ ფლანო, დიდიე დიუგარი

**ბარსელონა-ლეგანესი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-არდა თურანი, ხავიერ მასკერანო, რაფინია

ლეგანესი: ***ტრავმ***-დავიდ ტიმორი, ხოსე სერანტესი, რობერტ იბანესი, კონე

**მალაგა-ლას პალმასი**

მალაგა: ***ტრავმ***-სანდრო რამირესი, ლუის მუნიოსი, რეკიო, ფედერიკო რიკა, ზდრავკო კუზმანოვიჩი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-მიჩელი, მომო ფიგეროა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 20 | 15 | 4 | 1 | 54-18 | 49 |
| 2.ბარსელონა | 22 | 14 | 6 | 2 | 61-18 | 48 |
| 3.სევილია | 22 | 14 | 4 | 4 | 44-28 | 46 |
| 4.ატლეტიკო | 22 | 12 | 6 | 4 | 39-18 | 42 |
| 5.სოსიედადი | 22 | 13 | 2 | 7 | 36-31 | 41 |
| 6.ვილიარეალი | 22 | 9 | 9 | 4 | 29-15 | 36 |
| 7.ბილბაო | 22 | 10 | 5 | 7 | 28-26 | 35 |
| 8.ეიბარი | 22 | 10 | 5 | 7 | 33-29 | 35 |
| 9.ესპანიოლი | 22 | 8 | 8 | 6 | 30-29 | 32 |
| 10.სელტა | 21 | 9 | 3 | 9 | 33-36 | 30 |
| 11.ლას პალმასი | 22 | 7 | 7 | 8 | 31-33 | 28 |
| 12.ალავესი | 22 | 6 | 9 | 7 | 21-28 | 27 |
| 13.ბეტისი | 21 | 6 | 6 | 9 | 21-31 | 24 |
| 14.მალაგა | 22 | 5 | 8 | 9 | 29-36 | 23 |
| 15.ვალენსია | 21 | 5 | 5 | 11 | 29-40 | 20 |
| 16.დეპორტივო | 21 | 4 | 7 | 10 | 26-34 | 19 |
| 17.ლეგანესი | 22 | 4 | 6 | 12 | 15-37 | 18 |
| 18.ხიხონი | 22 | 4 | 4 | 14 | 24-43 | 16 |
| 19.გრანადა | 22 | 2 | 7 | 13 | 17-48 | 13 |
| 20.ოსასუნა | 22 | 1 | 7 | 14 | 24-49 | 10 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.02 ჰოფენჰაიმი-დარმშტადი | 1.44 | 4.5 | 7.5 |
| 18.02 ჰერტა-ბავარია | 8.0 | 4.5 | 1.4 |
| 18.02 დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.53 | 4.6 | 6.5 |
| 18.02 აინტრახტი-ინგოლშტადი | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 18.02 მაინცი-ვერდერი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 18.02 ჰამბურგი-ფრაიბურგი | 2.1 | 3.3 | 3.5 |
| 19.02 გლადბახი-ლაიპციგი | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 19.02 კიოლნი-შალკე | 2.5 | 3.2 | 2.9 |

**ჰოფენჰაიმი-დარმშტადი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ფაბიან შსარი, ჯერემი ტოლიანი, ლუკას რუპი

დარმშტადი: ***ტრავმ***-დენის ოლეინიკი

**ჰერტა-ბავარია**

ჰერტა: ***ტრავმ***-ალანი, სინან კურტი, მიშელ ვეიზერი

ბავარია: ***ტრავმ***-ფრენკ რიბერი, ჟერომ ბოატენგი

**დორტმუნდი-ვოლფსბურგი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარიო გიოტცე, ლუკაშ პიშჩეკი, მარსელ შმელცერი, ოსმან დემბელე, სებასტიან როდე, სვენ ბენდერი, ნური შაჰინი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-კრისტიან ტრაში

**აინტრახტი-ინგოლშტადი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-დავიდ აბრაჰამი, მარკო ფაბიანი, გილერმო ვარელა

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-მორის ჰარტმანი

**მაინცი-ვერდერი**

მაინცი: ***ტრავმ***-კარიმ ონისივო

ვერდერი: ***ტრავმ***-ფილიპ ბარგფრაიდი, იზეტ ჰაიროვიჩი, ფლორიან გრილიჩი, სამბი იატარაბე

**ჰამბურგი-ფრაიბურგი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ლუკა ვალდშმიტი, აშტონ გოცი, მიშელ გრეგორიჩი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-პასკალ სტენზელი

**გლადბახი-ლაიპციგი**

გლადბახი: ***ტრავმ***-იონას ჰოფმანი, ნიკო შულცი, იბრაჰიმა ტრაორე

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ლუკას კლოსტერმანი

**კიოლნი-შალკე**

კიოლნი: ***ტრავმ***-მატიას ლემანი, მარსელ რიისე, ტიმო ჰორნი

შალკე: ***ტრავმ***-ბაბა რაჰმანი, ფრანკო დი სანტო, ბრეელ ემბოლო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 15 | 4 | 1 | 45-12 | 49 |
| 2.ლაიპციგი | 20 | 13 | 3 | 4 | 36-20 | 42 |
| 3.აინტრახტი | 20 | 10 | 5 | 5 | 25-18 | 35 |
| 4.დორტმუნდი | 20 | 9 | 7 | 4 | 40-23 | 34 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 20 | 8 | 10 | 2 | 36-21 | 34 |
| 6.ჰერტა | 20 | 10 | 3 | 7 | 27-23 | 33 |
| 7.კიოლნი | 20 | 8 | 8 | 4 | 29-18 | 32 |
| 8.ფრაიბურგი | 20 | 9 | 2 | 9 | 26-34 | 29 |
| 9.ლევერკუზენი | 20 | 8 | 3 | 9 | 31-29 | 27 |
| 10.გლადბახი | 20 | 7 | 5 | 8 | 22-27 | 26 |
| 11.შალკე | 20 | 7 | 4 | 9 | 24-21 | 25 |
| 12.მაინცი | 20 | 7 | 4 | 9 | 29-35 | 25 |
| 13.აუგსბურგი | 20 | 6 | 6 | 8 | 18-24 | 24 |
| 14.ვოლფსბურგი | 20 | 6 | 4 | 10 | 19-28 | 22 |
| 15.ჰამბურგი | 20 | 5 | 4 | 11 | 19-35 | 19 |
| 16.ვერდერი | 20 | 4 | 4 | 12 | 24-42 | 16 |
| 17.ინგოლშტადტი | 20 | 4 | 3 | 13 | 17-32 | 15 |
| 18.დარმშტადტი | 20 | 3 | 3 | 14 | 14-39 | 12 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.02 ატალანტა-კროტონე | 1.3 | 5.5 | 11.0 |
| 18.02 ემპოლი-ლაციო | 5.5 | 3.7 | 1.7 |
| 19.02 ბოლონია-ინტერი | 4.8 | 3.6 | 1.8 |
| 19.02 პესკარა-ჯენოა | 3.4 | 3.5 | 2.1 |
| 19.02 კიევო-ნაპოლი | 7.0 | 4.2 | 1.5 |
| 19.02 სამპდორია-კალიარი | 1.7 | 4.0 | 5.0 |
| 19.02 უდინეზე-სასუოლო | 2.25 | 3.3 | 3.4 |
| 19.02 რომა-ტორინო | 1.44 | 4.6 | 6.5 |
| 19.02 მილანი-ფიორენტინა | 2.3 | 3.4 | 3.2 |

**ატალანტა-კროტონე**

ატალანტა: ***ტრავმ***-აბდულაიე კონკო, ბაქარი დრამე

კროტონე: ***ტრავმ***-მარკუს როდენი

**ემპოლი-ლაციო**

ემპოლი: ***ტრავმ***-მანუელ პასკუალი, ანდრეა კოსტა

ლაციო: ***ტრავმ***-არავინ

**ბოლონია-ინტერი**

ბოლონია: ***ტრავმ***-ანტონიო მირანტე, ორი ოკვონკო

ინტერი: ***ტრავმ***-მარსელო ბროზოვიჩი

**პესკარა-ჯენოა**

პესკარა: ***ტრავმ***-უგო კამპანარო

ჯენოა: ***ტრავმ***-დავიდე ბირაჩი, მატია პერინი

**კიევო-ნაპოლი**

კიევო: ***ტრავმ***-სერხიო პელისიერი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლორენცო ტონელი

**სამპდორია-კალიარი**

სამპდორია: ***ტრავმ***-ჯაკოპო საla

კალიარი: ***ტრავმ***-დიეგო ფარიასი, ფედერიკო მელხიორი

**უდინეზე-სასუოლო**

უდინეზე: ***ტრავმ***-ასანე გნუკური, დავიდე ფარაონი

სასუოლო: ***ტრავმ***-პოლ ლიროლა, ფრანჩესკო მანანელი, დავიდე ბიონდინი

**რომა-ტორინო**

რომა: ***ტრავმ***-ალესანდრო ფლორენცი

ტორინო: ***ტრავმ***-ლუკა როზეტინი, კრიატიან მოლინარო

**მილანი-ფიორენტინა**

მილანი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონელი, ჯაკომო ბონავენტურა, მატიო დი სკილიო, დავიდე კალაბრია, რიკარდო მონტოლივო

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 24 | 20 | 0 | 4 | 49-16 | 60 |
| 2.რომა | 24 | 17 | 2 | 5 | 50-21 | 53 |
| 3.ნაპოლი | 24 | 15 | 6 | 3 | 57-26 | 51 |
| 4.ინტერი | 24 | 14 | 3 | 7 | 39-24 | 45 |
| 5.ატალანტა | 24 | 14 | 3 | 7 | 39-26 | 45 |
| 6.ლაციო | 24 | 13 | 5 | 6 | 42-28 | 44 |
| 7.მილანი | 24 | 12 | 5 | 7 | 34-28 | 41 |
| 8.ფიორენტინა | 24 | 11 | 7 | 6 | 41-33 | 40 |
| 9.ტორინო | 24 | 9 | 8 | 7 | 45-36 | 35 |
| 10.სამპდორია | 24 | 9 | 6 | 9 | 29-30 | 33 |
| 11.კიევო | 24 | 9 | 5 | 10 | 25-31 | 32 |
| 12.უდინეზე | 24 | 8 | 5 | 11 | 27-32 | 29 |
| 13.სასუოლო | 24 | 8 | 3 | 13 | 33-40 | 27 |
| 14.ბოლონია | 24 | 7 | 6 | 11 | 23-37 | 27 |
| 15.კალიარი | 24 | 8 | 3 | 13 | 32-50 | 27 |
| 16.ჯენოა | 24 | 6 | 7 | 11 | 27-35 | 25 |
| 17.ემპოლი | 24 | 5 | 7 | 12 | 14-33 | 22 |
| 18.პალერმო | 24 | 3 | 5 | 16 | 20-45 | 14 |
| 19.კროტონე | 24 | 3 | 4 | 17 | 20-42 | 13 |
| 20.პესკარა | 24 | 1 | 6 | 17 | 22-55 | 9 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.02 მარსელი-რენი | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 18.02 ლორიანი-ნიცა | 2.75 | 3.2 | 2.6 |
| 18.02 მეცი-ნანტი | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 18.02 კაენი-ლილი | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 18.02 ანჟე-ნანსი | 2.0 | 3.1 | 4.2 |
| 18.02 ბორდო-გენგამი | 1.95 | 3.25 | 4.0 |
| 19.02 მონპელიე-სტ.ეტიენი | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 19.02 ლიონი-დიჟონი | 1.4 | 4.8 | 7.5 |
| 19.02 პსჟ-ტულუზა | 1.22 | 6.0 | 13.0 |

**მარსელი-რენი**

მარსელი: ***ტრავმ***-პატრის ევრა, ტომას ჰუბოჩანი, კლინტონ მუა ნჯიე, აბუ დიაბი

რენი: ***ტრავმ***-ლუდოვიკ ბაალი

**ლორიანი-ნიცა**

ლორიანი: ***ტრავმ***-არავინ

ნიცა: ***ტრავმ***-იუნის ბელანდა, ვალტერ ბენიტესი

**მეცი-ნანტი**

მეცი: ***ტრავმ***-არავინ

ნანტი: ***ტრავმ***-ამინე ჰარიტი

**კაენი-ლილი**

კაენი: ***ტრავმ***-მუჰამადუ დაბო

ლილი: ***ტრავმ***-რიო მავუბა

**ანჟე-ნანსი**

ანჟე: ***ტრავმ***-იოან ენდრიუ, ბილი კეტკეოპომპონე

ნანსი: ***ტრავმ***-ვინსენტ მურატორი

**ბორდო-გენგამი**

ბორდო: ***ტრავმ***-ტომას ტურე

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

**მონპელიე-სტ.ეტიენი**

მონპელიე: ***ტრავმ***-ჯონათან იკონე, სულეიმან კამარა, იორის მავრო, დანიელ კორნე, კაზიმირ ნინგა

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ალექსანდერ სოდერლუნდი, რობერტ ბერიჩი, ოსამა ტანანე

**ლიონი-დიჟონი**

ლიონი: ***ტრავმ***-მეტიუ ვალბუენა, კორენტინ ტოლისო, მუხტარ დიახაბი

დიჟონი: ***ტრავმ***-ჯორდან ლოტიე

**პსჟ-ტულუზა**

პსჟ: ***ტრავმ***-გრჟეგოჟ კრიხოვიაკი

ტულუზა: ***ტრავმ***-დუშან ვეშკოვაჩი, კლემენტ მიჩელინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 25 | 18 | 4 | 3 | 75-23 | 58 |
| 2.პსჟ | 25 | 17 | 4 | 4 | 50-18 | 55 |
| 3.ნიცა | 25 | 15 | 8 | 2 | 41-20 | 53 |
| 4.ლიონი | 24 | 13 | 1 | 10 | 45-29 | 40 |
| 5.სტ.ეტიენი | 25 | 10 | 9 | 6 | 30-19 | 39 |
| 6.მარსელი | 25 | 10 | 6 | 9 | 33-31 | 36 |
| 7.ბორდო | 25 | 9 | 9 | 7 | 29-31 | 36 |
| 8.გენგამი | 25 | 9 | 7 | 9 | 30-30 | 34 |
| 9.ტულუზა | 25 | 9 | 6 | 10 | 31-28 | 33 |
| 10.რენი | 25 | 8 | 9 | 8 | 25-29 | 33 |
| 11.მონპელიე | 25 | 7 | 8 | 10 | 36-42 | 29 |
| 12.ნანტი | 24 | 8 | 5 | 11 | 18-33 | 29 |
| 13.დიჟონი | 25 | 6 | 9 | 10 | 34-37 | 27 |
| 14.ანჟე | 25 | 7 | 6 | 12 | 21-33 | 27 |
| 15.ნანსი | 24 | 7 | 6 | 11 | 18-32 | 27 |
| 16.მეცი | 24 | 8 | 5 | 11 | 24-44 | 27 |
| 17.ლილი | 25 | 7 | 5 | 13 | 23-32 | 26 |
| 18.კაენი | 24 | 7 | 4 | 13 | 25-42 | 25 |
| 19.ბასტია | 24 | 5 | 7 | 12 | 21-32 | 22 |
| 20.ლორიანი | 25 | 6 | 4 | 15 | 27-51 | 22 |

# ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ხელისუფლებას სტრასბურში ჩივილს ურჩევს



ოკუპანტების მიერ აფხაზეთში მდებარე ქართული ძეგლების განადგურების გაპროტესტებას ხელოვნებათმცოდნე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ხელისუფლებას სტრასბურში ჩივილით ურჩევს.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში თვითნებური სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ოკუპანტებმა ბედიის მონასტერში ფრესკები დააზიანეს, სოფელ წებელდაში კი ეკლესია საერთოდ დაანგრიეს.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი:

– კულტურის და საგარეო სამინისტროები – რას ფიქრობენ აფხაზეთის ძეგლებზე? ან სტრასბურში იჩივლონ, ან დიდი გამოფენები აკეთონ მსოფლიოს დედაქალაქებში, სხვაგანაც, ააგორონ კამპანია ვანდალიზმის და ოკუპაციის წინააღმდეგ.

უკანასკნელ წლებში რაიმე საერთაშორისო გამოფენა გამართულა? არაფერი რეზონანსული. არც ერთჯერადი პროექტი უშველის ამ საქმეს. პოლიტიკა სჭირდება, რომელიც არ ჩანს.

# ილორის ეკლესიაში მეტლახი დააგეს



აფხაზეთში მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლზე თვითნებური სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

XI საუკუნის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში XXI საუკუნეში ჯერ კედლები გადალესეს, შემდეგ რუსული გუმბათი დაადგეს, რასაც მოჰყვა უნიკალური ქართული წარწერების წაშლა, ახლა კი რუსმა მღვდელ-მსახურმა ეკლესიაში ახალი იატაკი დააგო.

ინტერნეტში გავრცელდა კადრები, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზეა გადაღებული, სადაც კარგად ჩანს უძველესი ქვებიც, რომლებიც რუსმა მღვდელმსახურმა ილორის ტაძრიდან აყარა და საკუთარი სახლის ეზოში ახალი სამლოცველოს ასაშენებლად გადაზიდა.

ილორის წმინდა გიორგის ტაძრის განადგურება საოკუპაციო რეჟიმმა 7 წლის წინ დაიწყო. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტავენ, რომ ქართული მხარის არა ერთი მიმართვის მიუხედავად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია უძლურია. სპეციალისტების განმარტებით, ძეგლების განადგურების პროცესს ვერც ქართული ეკლესიის ჩარევა შეაჩერებს.

ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები არ გამორიცხავენ, რომ ოკუპანტები ყველაფერს გააკეთებენ ქართულ ეკლესიებში კვალის წასაშლელად და არ არის გამორიცხული, რომ მათ ქართულ ტაძრებს სახელებიც კი გადაარქვან.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რატომ არის აუცილებელი აცრები

ეკა ირემაშვილი

**იმუნიზაცია და ვაქცინაცია პროფილაქტიკური – პრევენციული ღონისძიებების ციკლია, რომლებიც ზოგიერთი ინფექციური დაავადების თავიდან აცილებისა და დაავადების ზემოქმედების რისკის შემცირებისაკენ არის მიმართული.**
**ვაქცინაციისა და იმუნიზაციის აუცილებლობის და მისი მნიშვნელობის შესახებ ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის ალერგოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი საუბრობს.**

**ბიძინა კულუმბეგოვი:**
– არსებობს ორმხრივი შეხედულება აცრების აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ. მე იმ კატეგორიის ექიმების რიცხვს მივეკუთვნები, რომელიც აბსოლუტურად მომხრეა ვაქცინაციის და იმუნიზაციის ჩატარების. დღეს კაცობრიობას თუ რამე მიღწევა აქვს სამედიცინო თვალსაზრისით, ეს არის სუფთა წყალი და იმუნიზაცია. ამას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც აღიარებს. ვაქცინაციამ გაახანგრძლივა კაცობრიობის ცხოვრება.

***– რა გვერდითი მოვლენები ახასიათებს იმუნიზაციას?***

– როდესაც საუბრობენ იმუნიზაციის გვერდით მოვლენებზე, თუ ჩვენ შევხედავთ ნებისმიერ აცრას, როგორც მედიკამენტს, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ეს ის პრეპარატებია, რომლებსაც ყველაზე ჯამურად ნაკლები გვერდითი მოვლენა აქვთ აღრიცხული, სხვა დანარჩენ პრეპარატებთან შედარებით. იმუნიზაცია არის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო მეთოდი, რაც კი კაცობრიობის და მედიცინის მონაპოვართა შორის მიიჩნევა.

***– რა არის იმუნიზაციის არსი?***

– მარტივი სიტყვებით რომ განვმარტო, ადამიანს ძალიან ბევრი გარემო ფაქტორი უტევს. ჩვენი იმუნური სისტემა გარკვეულწილად მზად არის ამ ყველაფერს გაუმკლავდეს, მაგრამ ის იმუნიტეტი, რომელიც ახალშობილს დედიდან გამოაქვს, ხშირად საკმარისი არ არის გაუმკლავდეს იმ ძალიან ძლიერ საფრთხეებს, რომლებიც ინფექციებს უკავშირდება. ამისთვის არსებობს სწორედ იმუნიზაციის პროცესი, რადგანაც დაახლოებით 2-3 თვის ასაკიდან დედიდან წამოღებული პასიური იმუნური სისტემა, რომელიც ჩვილს ტრანსპლაცენტარულად გადაეცა დედისგან, პრაქტიკულად უნულდება და დაცვა იმ საშიში და რთული ინფექციებისადმი უმცირდება. ამიტომ იმუნიზაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პაციენტს გაუკეთდეს ვირუსის, ბაქტერიის დასუსტებული კომპონენტებისგან შემდგარი ვაქცინები, რომლებიც დაავადებას არ გამოიწვევენ, მაგრამ აუცილებლად იწვევენ ამ ვირუსებისა და მიკრობების მიმართ ანტისხეულების ჩამოყალიბებას. თავის მხრივ ეს იმას განაპირობებს, რომ როდესაც პაციენტს დაემუქრება საფრთხე, შეხვდეს ეს ინფექცია, მას უკვე ჰყავს მზამზარეული, გამზადებული ჯარისკაცები ამ ინფექციის დაცვისთვის. ამის ფონზე დაავადება ან საერთოდ არ ემართება პაციენტს, ან თუ დაემართება, ეს ინფექცია მიდის ძალიან მსუბუქად, სუსტი ფორმით და სუსტი გამოხატულებით. მარტივად რომ ვთქვათ, იმუნიზაციის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ყველაზე საშიში ინფექციებისგან ვიყოთ დაცული. ინფექციების უდიდეს ნაწილს შეიძლება ჰქონდეს ხშირად ლეტალური გამოსავალიც კი. უდიდესი საფრთხის მატარებელია თითოეული მათგანი.

***– რა აცრებია რეკომენდებული ჩვენი ქვეყნის კალენდრით?***

– ჩვენს ქვეყანაში ძალიან კარგი კალენდარია. ერთ-ერთი ყველაზე უფრო პროგრესული და მოწინავე, რაც კი ევროპის კონტინენტზე ქვეყნებს გააჩნიათ და შეიძლება ვთქვათ, რომ ამ მხრივ ჩვენ ვართ ევროპის ყველაზე განვითარებული ქვეყნების პირველ ათეულშიც კი. იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, დაბადებიდან პირველ დღეებში პაციენტებს გაუკეთდეთ ბეცეჟე ვაქცინაცია, ანუ ეს არის ტუბერკულოზისგან დაცვის ვაქცინაცია. ასევე გაუკეთდეს ბე ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა. 2 თვის ასაკიდან კი იწყება უკვე ისეთი ინფექციების მართვა აცრების საშუალებით, როგორიც არის დიფტერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ყივანახველა, ჰემოფილუს ინფლუენცა, პნევმოკოკი და როტავირუსული ინფექცია. ეს აცრები პერიოდული გამეორებებით გამოიყენება და მათ შესახებ იცის ალბათ ჩვენმა საზოგადოებამ. აცრები კეთდება 2, 3 და 4 თვის ასაკში. 12 თვის ასაკში კეთდება წითელას, წითურას და ყბაყურას ვაქცინაცია, შემდეგ 1.5 წლის ასაკში კეთდება აცრა, შემდგომ 5 წლის ასაკში და ბოლოს 14 წლის ასაკში გვირგვინდება. ეს არის აცრის ის კალენდარი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არის მოწოდებული.

***– საჭიროა თუ არა ალერგოლოგის კონსულტაცია აცრამდე?***

– რაც შეეხება ალერგოლოგიური პოზიციიდან გამომდინარე, ხშირად არის მომართვიანობა პაციენტებისა, როდესაც ან ექიმები, ან თვითონ მშობლები ყურადღებას იჩენენ და გვთხოვენ დახმარებას, რამდენად უსაფრთხო იქნება ესა თუ ის აცრა, როდესაც ბავშვს აქვს რამე თანმხლები ალერგიული დაავადება. ხომ არ არის ეს აცრის წინააღმდეგ ჩვენება, ან აცრის გადავადების ჩვენება.

ნებისმიერი აცრა, რომელიც არის გამზადებული, ეს მიკრობები და ვირუსები თუ მათი ცხოველმყოფელობის პროდუქტები, რომლებიც აცრის სახით გამოიყენება, გარკვეული ნაწილი, რომელიც არის მოთავსებული, ნახევრად დასუსტებულია, ანუ ადენირებული სახითაა. მათი ცხოველმყოფელობა რომ შენარჩუნდეს ფლაკონში, ზოგიერთ ვაქცინას სჭირდება მასში ანტიბიოტიკის დამატება. სხვანაირად ეს მიკრობი იქ ვერ ძლებს. ზოგიერთი მათგანი სპეციფიკურ ცილაზე იზრდება. მაგალითად, ბევრისთვის ცნობილია და კიდევ ერთხელ დავადასტურებ, წითელა, წითურა, ყბაყურა ვაქცინა იზრდება წიწილის ემბრიონზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში კვერცხის კომპონენტი გადმოყვება. ამიტომაც, როდესაც გამოხატული ალერგიაა რომელიმე ანტიბიოტიკზე, ან კვერცხის მიმართ, ამ დროს აუცილებელია ალერგოლოგის კონსულტაცია და პედიატრის მეთვალყურეობა, რაც ბუნებრივად ისედაც ხორციელდება.

თუ საჭიროა, ვერთვებით ჩვენც, ვაკეთებთ შესაბამის დიაგნოსტიკას და ამ დიაგნოსტიკის საფუძველზე, თუ კვერცხის ალერგია დასტურდება, მაშინ სპეციფიკური სქემით ვაკეთებთ აუცილებლად ამ აცრას ალერგოლოგიური წესების დაცვით. თუ ალერგია არ დასტურდება, არავითარი პრობლემა არ იქნება.

***– ვის შეიძლება გაუკეთდეს აცრა და ვის – არა?***

– თუ ვამბობთ, ზოგადად ვის შეიძლება გაუკეთდეს აცრა და ვის არა, პირდაპირი უკუჩვენება არსებობს აცრის მაშინ, თუ პირველ ინექციაზე პაციენტს ჰქონდა მკვეთრი ალერგიული რეაქცია, ან აფილაქსიური რეაქცია, ან ნევროლოგიური სერიოზული გართულება. ასეთ დროს მეორე დოზა უკვე არ კეთდება. დანარჩენ შემთხვევაში აცრა კეთდება. ერთი მთავარი პირობა, რაც მინდა ყველას ვთხოვო – თუ ბავშვი არის ჯანმრთელი და არ აქვს მწვავე დაავადება და ქვემწვავე რამე მიმდინარეობა, ანუ ბოლომდე მორჩენილია, ბოლომდე ყველაფერი ალაგებულია, მხოლოდ ამ კონდიციაში გაუკეთეთ აცრები თქვენს შვილებს და ჩვენს მომავალ თაობას.

ნებისმიერი გვერდითი მოვლენა, რომელიც უდიდეს ნაწილ შემთხვევაში აცრებთან მიმართებაში ფიქსირდება, ეს არის მაშინ, როცა ამ წესების დაცვით არ არის აცრა გაკეთებული, რასაც შემდგომ მოყვება სერიოზული გართულებები. დანარჩენს რაც შეეხება, ე.წ. ცრუ უკუჩვენებები, ჩემი დარგით დავიწყებ, ე.წ. „დიათეზი“, ე.წ. ალერგიული ბავშვია და აპელირებენ მხოლოდ ამ სიტყვებზე და ვაქცინაციას არ აკეთებენ, ნებისმიერი მინიმალური სისხლნაკლებობა, „დისბაქტერიოზი“ და ა.შ. და ა.შ. ეს იმ დაავადებების ჩამონათვალია, რომლებიც აბსოლუტურად არ წარმოადგენს ვაქცინაციის წინააღმდეგ ჩვენებას და ექიმს გადააწყვეტინეთ ვაქცინაციის საკითხი.



***– მშობლებს ხშირად აინტერესებთ აზიურ ქვეყნებში გამოშვებულ ვაქცინებთან დაკავშირებული საკითხები.***

– ნებისმიერი ვაქცინა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემოდის, ეს საყოველთაო სტანდარტია. ის ქარხანა ემორჩილება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ლიცენზირებას, ნებისმიერი ქვეყანა მხოლოდ ამ ლიცენზირებული ქარხნიდან იყენებს ვაქცინებს.

არავითარი ხინჯი არ არსებობს, ამიტომ აუცრელობა არის უფრო მეტი დანაშაული საკუთარი შვილის წინაშე, ვიდრე ვაქცინით აცრა. თუ იქნება დიფერენცირების საშუალება და დღეს არის იმის საშუალება, რომ ვიღაცამ გააკეთოს ფასიანი და მაღალბიუჯეტიანი ვაქცინა, არც ამის წინააღმდეგი არ ვართ. ეს მშობლის არჩევანია. თუმცა 2, 3 და 4 თვის ბავშვისთვის სახელმწიფო ვაქცინებს აბსოლუტურად უფასოდ იძლევა და არავითარი გართულება ამ ვაქცინებს არ ჰქონია. მე ვარ მომხრე, რომ აცრები გაკეთდეს. იმუნიზაციას ალტერნატივა არ გააჩნია.

***– ვინ არიან ადამიანები, ვისთვისაც არ შეიძლება ცოცხალი ვაქცინების გაკეთება?***

– წითელა, წითურა, ყბაყურა, პოლიომიელიტის ცოცხალი ფორმა არ შეიძლება გაუკეთდეს პაციენტს, რომელიც არის ლეიკემიით დაავადებული. პაციენტი, რომელიც არის იმუნური დეფიციტის სერიოზული დაავადების მატარებელი, პაციენტი, რომელიც პრედნიზოლონის მუდმივ კურსზეა, ანუ ჰორმონალურ პრეპარატებზე იმყოფება.

***– რა არის გამოსავალი?***

– რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს აცრილი, რომ მათ ინფექცია ადვილად არ დაემართოთ. ჩვენი აცრით იმ ადამიანებსაც ვიცავთ ინფექციებისგან, რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო ვერ იცრებიან. ლეიკემიით დაავადებულ თუ გამოჯანმრთელებულ ბავშვს რომ შეხვდეს ეს ინფექცია, შეიძლება ისევ შეუბრუნდეს დაავადება და ლეტალური სასიკვდილო გამოსავლით გამწვავდეს და რეციდივი დაემართოს. ეს ყველაფერი სწორად უნდა იყოს აწონ-დაწონილი, ყველაფერი უნდა იყოს უსაფრთხოებაზე, სწორად შერჩეული, ვაქცინაცია უნდა იყოს სწორ სამედიცინო დაწესებულებაში გაკეთებული.

ცივი ჯაჭვის პრინციპი არ უნდა იყოს დარღვეული და როდესაც ეს წესები დაცულია, არავითარი გართულება ვაქცინაციაზე არ არსებობს და მისი სარგებელი გაცილებით დიდია. ვაქცინაციას ალტერნატივა არა აქვს და მოვუწოდებ ყველას, რომ სწორი ჩვენებით, სწორი დამიზნებით, სწორი არჩევანით, სწორი გაანალიზებით თავისუფლად გამოიყენოთ თქვენს შვილებთან.

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

**საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.**
**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.**
☎ 599-73-48-21.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.
**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**
მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.
**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 20 თებერვალი

**07.00** დოკ/ფ "ორი გაუმძლარი იტალიელი" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.20** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.20** "რეალური სივრცე" **18.00** "მოამბე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ "**შენთვის რღაც მაქვს სათქმელი**" **00.40** მხ/ფ "**გაზეთი**" (გ.ქლოუზი)

**08.00** დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდია" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" **11.35** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.00** "მოამბე""მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**სიყვარულის ტესტი**"

**06.30, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" 1 სერ. **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** იუმორინა **23.30** სერ. "**იმედის ქარი**" 1 სერ. **00.45** მხ/ფ "**შეყვარებულები**" **02.50** მხ/ფ "**დაუჯერებელი სიყვარული**" **05.00** მხ/ფ "**ლუმის ფარგოს ძარცვა**"

**06.00, 18.50, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **22.00** ქ.მხ/ფ "**მონანიება**" სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "ატომი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** მხ/ფ "**არტური**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** მხ/ფ "**ბლეიდი 1**" **00.15** მხ/ფ "**ქვეყნიერების აღსასრული**" **02.30** მხ/ფ "**სივრცეში დაკარგულები**"

